

K 4330
2

კურონიშვილი
ა. ნაკაბიძე



ჩაის გუჩი

მარი გაზენეგა და

ჩაის ლაგუშავეგა





თბილისი

სამართლი

ჩ ა ი ს გ უ ჩ ე ც
მისი გამანება და
ჩ ა ი ს დ ა მ ა მ ა მ ა



$$\frac{14.330}{9}$$

სახელმწიფო გამომცემლობა	სახელმწიფო გამომცემლობა	სახელმწიფო გამომცემლობა	სახელმწიფო გამომცემლობა
1	9	2	8

47.97.

8543.



წიგნის ცენტრალური ბიბლიოთი

იყო დრო, როცა ყველა ერი კარჩაკეტილათ ცხოვ-
რობდა, უგზოობის გამო ერთი ერთმანეთში მისვლა-მო-
სვლა და ალებ-მიცემობა არ იყო განვითარებული, ამის
გამო მეურნეობა იყო ნატურალური—ყველა მეურნე, ყვე-
ლა ოჯახი, იძულებული იყო იმნაირად ეწარმოებია თა-
ვისი მეურნეობა, რომ ყოველივე, რაც კი მისთვის სა-
ჭირო იყო, სანოვაგიდან დაწყებული ტანდაფეხამდე თვი-
თონ უნდა ეწარმოებია, შინ, თავის ოჯახში დაემზადე-
ბია.

მეურნეობის ამნაირმა სისტემაშ ვერ გაანვითარა
სხვადასხვა აულტურები, ყველა მეურნე იძულებული იყო
ხელი მოეკიდა ბევრ სხვადასხვა მცენარეების გაშენებას,
მიუხედავათ იმისა, კარგად იხარებდა თუ არა ის დანი-
შნულ აღგილზე ჰავის და აღგილის მდებარეობის მიხედ-
ვით. აშენებდა იმ იმედით, რომ ცოტა მოსავალს, ყო-
ველ შემთხვევაში, ხომ მიიღებდა და ეს მაშინდელი შეურ-
ნისთვის საქმაო იყო, რომ სავსებით თუ არა, ნაწილო-
ბრივ მაინც, დაეკმაყოფილებია იმდროული მისი მარტი-
ვი ოჯახური მოთხოვნილება.

განვითარდა და გაიზარდა მრეწველობა და ალებ-
მიცემობა, გაელო კარი კარჩაკეტილობას, გაიხსნა გზები
და ყოველგან შემოვიდა ფაბრიკის „ნინო მორი“ აარ
დარჩა საქირო შინ „ხაშის“ და სხვა სამოსეფოს სამზა-
დებრობების სამზადებელია



დება, რაღვან შემოტანილი ფაბრიკის ნაწარმოები ჩითა გამოიყენებოდა ნარმა და სხვა ნაქსოვები ბევრად უფრო იაფად ჯდება, ვიდრე შინ დამზადებული. სამაგიეროდ საჭირო შეიქნა იმ პროდუქტის ბლომად დამზადება, რომელსაც მეტი მოთხოვნილება და გასავალიც აქვს. ამის მიხედვით აღარ დარჩა სასარგებლო ბევრი სხვადასხვა დარგის კულტურების მიმდევრობა, მეტადრე იმნაირი კულტურების, რომელნიც აღნიშნულ ადგილზე ჰავის და სხვა ბუნებრივ პირობების გამო ნაკლებ ხარობს, ბევრ შრომას და ჯაფას კი თხოულობს; ამნაირად ბევრი ნაძალადევი კულტურა შეამტკირეს და ხელი ჩაჭიდეს იმნაირ კულტურებს, რომელიც უფრო მეტ სარგებლობას იძლევა.

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი მეურნეობა მეტად შეფერხდა, საქართველოს ყველა კუთხიდან გვესმის საყვედურები: „დავიმშვით, კირნახული ნაკლები მოგვივიდაო“, შემოგვჩივიან ერთი მხრიდან; „მოსავალი კარგი მოგვივიდა, მაგრამ ჩვენ პროდუქტებს გასავალი აღარ აქვს და ცხოვრების საშვალება გვიმძიმდებაო“ გაიძახიან მეორე მხრიდან. მიწა გამოიფიტა, დაუძლურდა ამდენი ხნის დაუსვენებლივ ხვნა-თესვისაგან, მიწის გაპატივება და თესლთაცვლა ჯერ კიდევ ფართეთ არ არის შემოღებული.

მთელი დასავლეთ საქართველოის (ქვემო იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი) კეთილდღეობა დამყარებულია სიმინდის მოსავალზე, ნათესების თითქმის 100%, ამ მცენარეს უკავია. დიდ გაჭივრებულ მდგომარეობაში ვარდება ეს მხარე, როცა სიმინდის მაზანდა ეცემა და გასავალი არ აქვს, რის გამო ცხოვრების საშვალება მოსახლეობას აკლდება.



აუცილებელ საჭიროებას შეაღგენს სხვადასხვა ნიმუში
ნარეების კულტურის შემოღება, უფრო ძვირფასის და
შემოსაკვლიანის, ვიდრე დღეს გვაქვს. პურეული მცენარე
დავიმუშმაოთ იმდენი, რამდენიც სარჩოთ გვეყოფა, ჩვენ
გამოსაკვებათ; სხვა ოჯახის საჭიროების დასაკმაყოფი-
ლებლათ კი ის მცენარეები, რომელთაც ბაზარზე კარგი
გასავალი აქვთ.

რაც მეტი მრავალფეროვანი კულტურა გვექნება,
მით უფრო ადვილად შეგვიძლია თავიდან ავიცდინოთ
მეურნეობაში ხშირად მოსალოდნელი ქრიზისები: მოუ-
სავლობა, მაზანდის დაცემა და სხვა. ყველა მეურნემ
კარგად იცის, რომ ბუნების მოვლენანი და ადგილის
მდებარეობა ერთ გვარად არ მოქმედობენ სხვადასხვა
მცენარეებზე: ერთს რომ გვალვა ავნებს, მეორეს უხდე-
ბა, ერთი რომ (ჰყიქორში) ნესტიან წელიწადს კარგად
ხეირობს, მეორე სულ ფუჭდება, ან ერთს რომ თიხნარი
ზეადაგი უყვარს, მეორე ამნაირ ზეადაგზე ვერ ხეირობს
და ქვიშნარზე ან კირნარზე უფრო ვარგობს და სხვა, ამის
მიხედვით ერთი თუ არ მოგვიდა, მეორე მოგვცემს მო-
სავალს, მეორე თუ არა, მესამე და ამნაირად შეგვი-
ძლია ადვილად ავიცდინოთ თავიდან ის უბედურება, რაც
მიწის მუშისთვის მოსალოდნელია ცუდი მოსავლის გამო,
როცა ის მარტო ერთნაირ მცენარის კულტურას მის-
დევს.

რუსეთში, საკა ადგილის მდებარეობა ერთგვარო-
ვანია, უმეტეს ნაწილად მარტო ხორბლეულს: პურს,
ჭვავს, ქერს და შვრიას თესენ და ხშირია მავნებელ მწე-
რების, გვალვის და სხვა ბუნების მოვლენების გამო მოუ-
სავლობაა, ჩნდება შიშშილობა და ხალხი ვარგება იმ-
ნაირ გაჭირვებაში, რომ ბალას-ბულახს უწყებს ჭამას.



ჩვენში კი ამნაირი შემთხვევა იშვიათად მოხდება. ამაში ჩვენ ხალხს ხოლმე, რადგან აქაური მეურნენი სხვადასხვა გვარის მცენარეების კულტურას მისდევენ. ამაში ჩვენ ხალხს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ჩვენი მხარე დაყოფილია მრავალ კუთხეებათ, რომელიც ჰავით, ზეადაგით და ადგილის მდებარეობით მეტად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. თუ ვინიცობაა, ამინდმა ხელი შეუშალა პურის მოსავალს, სიმინდი მოვივა, სიმინდი თუ არ მოვიდა, ლომი მოვა, ბამბა, თამბაქო, ლვინო, ხილი და სხვა.

დღეს მთელ საბჭოთა კავშირში შემოდის უცხოეთიდან დიდალი თბილი ქვეყნების მცენარეულობა და იხდის რამდენიმე მილიონობით ბაზს. ჩვენა ქვეყნის ჰავა და ადგილის მდებარეობა კი იმნაირია, რომ აქ ადგილად შესაძლოა გაშენდეს იმ მცენარეების უმრავლესობა. ამ გარემოებას უკვე მიაქცია თავისი ყურადღება საბჭოთა აღმშენებლობამ მიწად-მოქმედების კომისარიატის სახელით და ყოველ საშეალებას ხმარობს გააგრცელოს საქართველოში უცხო, თბილი ქვეყნების მცენარეულობის კულტურა, რომელთაც ჰავის, ზეადაგის და ადგილის მდებარეობის მიხედვით აქ კარგად უნდა იხეიროს.

ერთ ამნაირ მცენარეთ ითვლება ჩაის ბუჩქი.

ბოტანიკური აღმოჩილობა

ჩაის მცენარე ბუჩქათ იზრდება და ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლებით არის შემოსილი.

ჩაის მცენარეს ბოტანიკოსები აკუთნებენ *theaceae*-ს ოჯახს და *Thea*-ს გვარს, რომელიც ძრიელ ახლოა *Camellia*-ს გვართან. ჩაის მცენარის ცნობილია ორი ძირითადი სახე: ჩინური ჩაის ბუჩქი—*Thea chineensis* L.—სწორი, მოკლე, სქელი და რბილტყავმაგვარი ფოთლები აქვს; უფრო ბუჩქათ იზრდება, გამძლეა, სიცივეს ადვილად იტანს (10 გრადუს ცელ.), მაგრამ იქ კი არ ხარობს, სადაც მთელი ზამთრის განმავლობაში თოვლი ძევს. ასხაბის ჩაის მცენარე—*Thea Assamica* L. ხეთ იზრდება, ფოთოლი უფრო დიდი აქვს, გძელი 4 ვერშოკამდე, თხელი და ხანდისხან დაკლაკნილი, მოითხოვს უფრო ცხელ ჰავას, ვიდრე ჩინური ჩაის ბუჩქი, თოვლისა და ყინვისაგან ადვილად იჩაგრება, ტემპერატურის მცირე დაკლებას, 0° ქვეითაც ვერ იტანს; მოსავალი კი მეტი იცის, ამის გამო დიდი მუშაობა სწარმოებს ჩინური ჩაის ბუჩქის ასხაბის ჩაის ბუჩქთან შეერთებით (გადაჯვარადინებით) ახალი ჯიშების (გიბრიდიზაცია) მისაღებათ. ჩვენი ქვეყნისთვის უფრო გამოსაღევი და შეხამებულია ჩინური ჩაის ბუჩქი, ვინემ ასსამის ჩაის მცენარე. გარდა ამ ორი უმთავრესი გვარისა არის კიდევ ჩაის ბუჩქის სხვადასხვა სახის ჯიშები: *Th.chinensis bohea*, *Th. chinensis vuridis* *Th. chinensis pubescens* და *Th. chinensis conutoniensis*.



ნახ. 1. ჩაის მცენარის ყვავილიანი ტოტები.

ჩაის მცენარის მორფოლოგიური სხვაობა: ფურცელი რიგრიგობით, მოკლე ყუნწზე, მოგძო, შუბის ანუ



ნახ. 2. ჩაის ნაყოფიანი ტოტები.

ელიპსის მგზავსი, მსხეილკბილებიანი, მუქი მწვანე ფერისა, მოელვარე, როცა ფურცელი ნორჩია ის დაფარულია ვერცხლის ანუ ოქროსფერი ბუსუსებით.



ჩაის ბუჩქი ყვავის გვიან, შემოდგომაზე(ოქტომბერში მოხდა) უკავილი აქვს პატარა, თეთრი, სასიამოვნო სუნისა; ყვავილის ჯამია 5-6 ფურცლოვანი; გვირგვინი თავთავის მზგავსი, სწორი, 6 ყვავილის ფურცლებიდან გარეგანი 2 ღიანარჩენებზე ცოტათი ნაკლებია, ბუტკოს დინგი (პირი) სამათ არის გაყოფილი, სანაყოფე ანუ ნასკეი სამბუდოვანია (ჩაის მცენარის ყვავილიანი ტოტები, ნახ. 1). ნაყოფი უფრო ხშირად სამბუდოვანი, სამთესლიანი, პარკი, რომელიც გვერდებზე ისერება და სქდება. თესლი მორგვალოა, სიდიდით თხილის კაკლის ოდენა, ნაჭუჭი (ლენჭო) აქვს თხელი, მიხაკის ფერისა; გულის გარშემო აქრავს კანი, გული თეთრია, მომწარო გემოსი. ერთი გირვანქა ჩაის თესლი იწონის 350-400 ჩაის კაკალს. იაპონიაში ჩაის თესლიდან ხდიან ზეთს, რომელიც ყვითელი ქარვის ფერისაა და ხმარობენ სანათად და საპნის საკეთებლად (ჩაის ნაყოფიანი ტოტები, ნახ. 2).

ჩაის ბუჩქი ველურად არის გავრცელებული ჩინეთში, მის სამშობლოთ ითვლება ის მთაგორიანი ადგილები, რომლებიც ჰყოფენ ჩინეთის და ინდოეთის ველებს ერთი მეორისაგან. ჩაის გაშენებას ჩინეთში მისდევენ უხსოვარ დროიდან, თითქმის 2700 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე *) აქედან ათასი წლის წინად გადაიტანეს იაპონიაში გასული, საუკუნის დასაწყისში ეს კულტურა გა-

*) ჩაის გაჩენის და ჩაის ხმარების შესახებ ჩინეთში ერთი ლეგენდა არსებობს. იგი მოგვითხრობს, რომ ერთხელ თითქოს ჩინეთში მისულა ერთი ინდოელი ბერი ახალი სჯულის გასავრცელებლად. ამ მიზნის მისაღწევათ ის თავისთავს არ ზოგავდა მუდმივ მარხულობდა, დღისით უქადაქებდა ხალხს ახალ სარწმუნოებას, ხოლო ღამეებს სრულ ლოცვაში ატარებდა, ერთხელ თურმე ხანგრძლივ ლოცვისა და უძილობისაგან დაღლილ ბერს ჩაეძინა. რომ გამოე-

დავიდა ინდოეთში, იმავე დროს იქ იპოვეს ასსამის პრინცესა მარგერიტა კის ტყეში გარეული ჩაის ბუჩქი, დაიწყეს იმის თესლის გროვება ინდოელებმა და გააშენეს ჩაის ნარგვები; მთელ ინდოეთში საოცარი სისწრაფით მოეფინა ჩაის კულტურა; აქედან გადავიდა კუნძულ ცეილონზე, სადაც ჩაის გაშენების და დამზადების საქმე უმაღლეს ხარისხამდე განვითარდა.

ჩაის მცენარის გუნებრივი პირობები

ჩაის მცენარე კარგათ ხეირობს ტროპიკულ ანუ სუბტროპიკული ჰავის ნესტიან რაიონებში. საქართველოში სუბტროპიკულ რაიონს* ეკუთვნის თბილი ალაგები გურია-სამეგრელოსი, კოლხიდა და განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროების სამხრეთი ხაწილი.

დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებული ჰავის დამახასიათებელია: თბილი, ხანდისხან უყინვო ზამთარი, ზომიერი ცხელი ზაფხული და ატმოსფერული ნალექის სიმრავლე, ეს ჰავის პირობები ამ რაიონს აახლოვებს ნესტიან სუბტროპიკულ ქვეყნებთან. ამ უკანასკნელ ქვეყნებს ახასიათებენ წლიური ნალექის რაოდენობა, არანაკლები 1200-1500 მილი., საშვალო წლიური ტემპერატურა არა ნაკლები 12° ც., იანვრის საშუალო ტემპერატურა

ღვიძა, შერტხვა თავის სისუსტის და იმის შიშით, რომ ასეთი საძაგელი საქმე აღარ გამოიწებულიყო, ბევრი აღარ უფიქრია, მოიჭრა თვალის ქუთუთოები და მიწაზე გადაყარა, რადგან სხვა ვერაფერი მოიგონა ძილის საწინააღმდეგო წამლად. მაშინ მოხდა სასწაული: ქუთუთოები ამოვიდნენ და იმათ წამწამებიდან გაიზარდა ბუჩქი, ეს ბუჩქი იყო ჩაი. მაშინ ბერმა გაიგო ჩაის საკვირველი თვისება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ, თუ კაცი ორ-სამ ჭიქა მაგარ ჩაის დალეჭს, ძილი აღარ მოეკიდება.



0% ევით, ამასთან ზამთარში ყინვები იშვიათად აღის — 10%
ამდე ც., თოვლი ძევს ცოტახნობით და ზოგიერთი მცე-
ნარები მთელი წლის განმავლობაში არ სწყვეტენ თა-
ვის ცოცხლობრივ მოქმედებას.

დასავლეთ საქართველოს სანაპირო ნაწილებში სა-
შუალო წლიური ტემპერატურა არის 14° ც. და იანვრის
საშუალო ტემპერატურა 5 -დან $6,4^{\circ}$ ც., ყინვები დაბ-
ლობ გაშლილ ადგილებში ზამთარში იშვიათად აღის —
 $8-10^{\circ}$ ამდე ც., დაფარულ ფერდოებზე კი ტემპერატურა არ
ეშვება — $3-4^{\circ}$ ქვევით ც; ზოგიერთ წელიწადში უყინვო
ზამთარი ხშირი მოვლენაა.

ნალექი აქ ბლომად მოდის, მაგრამ არა ერთი ზო-
მისა სანაპიროების სხვა და სხვა მხარეებში, აი მაგალი-
თად სოხუმში მოდის წელიწადში საშუალოთ 1291 მილლ.,
ზუგდიდში 1557 მილლ., ფოთში 1626 მილლ., ოზურ-
გეთში 2048 მილლ. და ბათომში 2530 მილლ., ნალექის
ამნაირი რაოდენობა ახასიათებს ტროპიკულ ქვეყნებს.
მოყვანილი ცნობები ეხება განსაკუთრებით ზღვის სანა-
პირო ზოლს, მაღლობ და ზეგან ადგილებში ნალექი კი-
დევ უურო მეტი მოდის.

ამ რაიონის თბილი და ნესტიანი ჰავა თავის ელ-
ფერს აძლევს ადგილობრივ ფლორას, რომელიც შეიცავს
ბევრ მუდმივ მწვანეობმოსილ მცენარეებს და განსაკუთ-
რებით გილროფილებს (წყლის მოყვარე მცენარეებია) ამ-
ნაირი არიან შექრი — *Rhododendron ponticum*, წყავი —
Prunus Laurocerasus, ბაძგარი, *Jlex aquifolium*, ბზა —
Buxus sempervirens, მოცვი — *Vaccinium Arctostaphylos*, იელი — *Azalea pontica* და სხვა ბუჩქები, რომელ-
თაც ჩვეულებრივ ხვდებით ტყეებში, როგორც ნარევს.
აქ ხშირია კიდევ ბევრი მხვიარი მცენარეები, როგორც
სურო — *Hedera Helia*, ეკალა, (ლიქი) *Smilax excelsa*, მა-
ყვალი, — *Rubus fruticosus*, გარეული ვაზი, კრიკინა,

შორცულია—*Vitis Vinifera* და სხვა ამნაირი მხედიათა მცენარეები, რომელნიც ერთად სხვა ბუქნარ მცენარეებთან გადაეხლართებიან ერთიერთმანეთს და ქმნიან ტყეში გაუვალ ტევრებს; გაშლილი ადგილები კი დაფარულია გეიმრით—*Pteridiumum aguilinum*.

თუმცა ეჭვს გარეშე, რომ დასავლეთ საქართველო-უახლოვდება ნესტიან სებტროპიკულ ქვეყნებს, მაგრამ ნალექების განაწილების მხრივ წლის განმავლობაში ძრიელ განსხვავდება შორცულ აღმოსავლეთის სუბტროპიკულ ქვეყნებისაგან, როგორც ეს სჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილისაგან: იმ დროს, როცა ჩინეთის და იაპონიის სუბტროპიკულ ოლქებში და ინდოეთის მაღლობ და ზეგან რაიონებში მეტობენ ზაფხულის, აგრეთვე გაზაფხულის და შემოდგომის ნალექები, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებში ყველაზე მეტი ნალექები მოდის შემოდგომაზე და ზამთარში, ყველაზე ნაკლები კი გაზაფხულზე (ბათომი და ოზურგეთი), ან და ეს ნალექები თითქმის თანაბრად ნაწილდებიან ყველა წელიწადის დროზე (სოხუმი).

ზამთ.	ნალექის რაოდენობა მილლ.			
	გაზაფ.	ზაუბ.	შემოდ.	წელიწ.
კანტონი	72	414	828	486 1.800
შანჩაი	143	330	341	286 1.100
ტოკიო	205	446	577	632 1.860
ასსამი (ინდოეთი)	75	625	1350	450 2.500
დარჯილთნაგი (ინდოეთი)	61	367	2050	582 3.060
ბათომი	708	380	556	886 2.530
ოზურგეთი	601	289	444	714 2.048
ზუგდიდი	365	293	452	447 1.557
სოხუმი	322	297	310	361 1.290
სოჩა	469	282	253	440 1.444

ისტორიული მიმოხილვა

საკითხი იმის შესახებ იხარებს, თუ არა ჩაის მცენარე დასავლეთ საქართველოში აღიძრა გასული საუკუნის ბოლოს, ორმოციან წლებში. ამ საქმის მოთავეობა ეკუთხნის მაშინდელ მეფის მოადგილეს კავკასიაში, ვორონცოვს. ამის განკარგულებით გამოიწერეს ჩინეთიდან ჩაის ბუჩქის რამოდენიმე ნერგები და დარგეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის სახელმწიფო სანერგეში 1848 წელს. მცენარემ კარგათ იხეირა და შემდეგ ნაწილი ამ ბუჩქებისა გადაიტანეს ქალ. ზუგდიდში სამეგრელოს მთავრის ბაღში და მ. ქ ერისთვის მამულში, სოფელ გორაბერეჯოულში, გურიაში. ერისთვის მამულში მცენარემ მშვენიერად იხარა, გაიზარდა, აყვავილდა და ნაყოფის ძლევაც დაიწყო და სამოც წლებში კიდევაც სცადეს მისი ფურცლებიდან ჩაის გაკეთება. ამ დროიდან ჩაის ბუჩქი ამ მამულში დღემდინ არის, კარგათ ხარობს და თავისით მრავლდება. სოხუმში, ბოტანიკურ ბაღში 1870 წელს კიდევ იყო 18 ძირი ჩაის ბუჩქი, რომელიც ნაყოფს იძლეოდენ, მაგრამ რეს თანამაღლოს ომის დროს 1876-1877 წელს განადგურებულ იქმნა.

ამნაირად ამ ცდამ, განსაკუთრებით დიდი შედევი ვერ მოიტანა ჩაის კულტურის გავრცელების შესახებ, მაგრამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ჩაის მცენარემ 70-80 წლის განმავლობაში აიტანა, შეეგუა და შეეთვისა დასავლეთ საქართველოს პაგას, კარგათ იხარა და იძლევა ვარგის ფურცელს ჩაის გასაკეთებლად.

აზრი ჩაის კულტურის გავრცელების შასახებ საქართველოში ვორონცოვის შემდეგ არ იყო მიტოვებუ-



ლი. პროფესორმა ა. ი. ვოეიკოვმა იაპონიიდან დაბრუნდა ბის შემდეგ 1876 წელს თავისი მეცნიერული დაკვირვებით და შედარებით ნახა ღილი მსგავსება ჰავისა და ბუნების მხრივ ნიპპონის და დასავლეთ საქართველოს შორის და დაუინებით ურჩევდა აქ ჩაის და ბამბუკის კულტურის შემოლებას.

ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ საკითხი ჩაის კულტურის შემოლების შესახებ ხელახლა აღიძრა. პირველი დამცველი ამ კულტურისა იყო ცნობილი კავკასიის კარგად მცოდნე, ბოტანიკის მაგისტრი ნ. კ. ზეიდლიცი, რომელმაც 1884 წელს საერთაშორისო ბოტანიკის და ბალოსნობის კონგრესზე პეტროგრადში წაიკითხა რეფერატი. ამის მეთაურობით იქმნა გამოწერილი ჩინეთიდან ჩაის ბუჩქის ნერგები და გადაეცა ჩაქვის მემამულეს (ინუინერ-პოლკოვნიკს) ა. ა. სოლოვიცოვს, რომელმაც დარგა ბუჩქები თავის ჩაქვის მამულში და ზეიდლიცის ხელმძღვანელობით აწარმოვა ჩაის კულტურის საქმე ნერგებმა კარგათ იხეირეს, შემდეგ დაიწყეს დაყვავილება და თესლის მოცემა. ამ თესლიდან გააშენეს პირველი პატარა ჩაის პლანტაცია; ამ პლანტაციაში მოკრეფილი და გ. ზემლერის ხელმძღვანელობით გაკეთებული ჩაი კარგი თვისების გამოდგა. ამ გარემოებამ გამოიწვია ინტერესი ჩაის საქმეში და ამის შემდეგ მალე გაშენდა პლანტაციები ცნობილი ჩაის ფირმის კ. ს. პოპოვის და საუფლისტულო უწყებისა.

კ. ს. პოპოვმა, პროფესორი ვ. ა. ტიხომიროვის მონაწილეობით, მოაწყო ექსპედიცია ჩინეთის საუკეთესო ჩაის ოლქებში, საიდანაც წამოილეს ჩაის ბუჩქის ნერგები და თესლი. პირველად ჩაის მცენარის დარგვა დაიწყეს 1893 წელში და შეუდგენ პლანტაციების გაშენებას ორ



ადგილზე: სოფელ სალიბაურში, კაპრიშუმში და ჩაქვეშენიშვილის სალიბაურში ააშენეს ჩაის დასამუშავებელი ფაბრიკაც. შემდეგ წლებში განაგრძეს სხვა და სხვა ჯიშის ჩაის ნერგების და ოესლების ბლომათ. ჩინეთიდან გამოწერა.

ჩაქვის საუფლისწულო მამულში პირველად დარჩუს 20 დესეტინაზე ჩაის ნერგები სოლოვცოვიდან წამოლებული. შემდეგ ამისა საუფლისწულო უწყებამ 1895 წელს აგრონომი ი. ნ. კლინგენის ხელმძღვანელობით და პროფესორი ა. ნ. კრასნოვის მონაშილეობით მოაწყო ექსპედიცია ინდოეთში, კუნძულ ცეილონზე. ჩინეთში და იაპონიაში ჩაის საქმის შესასწავლად. ექსპედიციამ შეიძინა ადგილობრივ და მოიტანა ჩაქვში ჩაის ნერგები და ოესლი ინდოეთიდან, ჩინეთიდან და იაპონიიდან. ამ მამულში გაშენებულია განსაკუთრებული ჩინური ჯიშები: „იანლოდოუნი“, ნინჯოუ“ და კიდევ „კანგრა“—ჩინური ჯიში ინდოეთში გადატანილი და იქაურ ჰავასთან შეთვისებული. ეხლა ამ სახალხო მამულში ჩაის პლანტაციას უჭირავს 540 დეს. და ჩაის ფურცლის დასამუშავებლად გაკეთებულია დიდი ფაბრიკა, საცა კეთდება ჩაი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

ვინაიდგან ჩაის კულტურის ცდამ კარგად ჩაიარა სოლოვცოვის, პოპოვის და საუფლისწულო მამულებში, ჩაის საქმემ ფეხი მოიკიდა მცირე მემამულეთა შორისაც. ბათომის სახაპორზე 1914 წელს ითვლებოდა 167 პლანტატორი, სოვერცით 675 დუა, აქედან საუფლისწულო მამულის 360 დეს., პოპოვის 110 დეს. და დანარჩენი 205 დეს. უწევს მარტ პლანტატორებს.

ჩაის კულტურის შესაფერი რაიონების გამოსაკვლევათ დასავლეთ საქართველოში და მცხოვრებთათვის ახალი კულტურის გასაცნობათ მიწადმოქმედების დეპარტა-

0 3 0 ლ მ 0 8 3 :

მენტმა 1900 წლიდან დაასა საცდელი ჩაის სანერგები ეს სანერგები ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შენდებოდა საიმედო მეურნეებთან და სამოლობით ცეკვებთან, ამასთან ჩაის ნერგები 200-300 ძირი მათ ეძლეოდათ უფასოთ. სანერგები იყო გაშენებული სხვადასხვანირ ნიადაგზე, სხვა დასხვა სიმალლეზე ზღვის დონეზე, სხვადასხვა მალტობის ფენოებზე დასხვა. სანერგე მასალა პირველად იყო წამოლებული ჩაქვის საუფლისწულო მამულიდან ორწლოვანი ნერგები იანლოდოუნი, ნინჯაუ და კანგრა-ს ჯიშებისა, რომელნიც იყო გაშენებული პირდაპირ ჩინეთიდან მოტანილი თესლებიდან. ამავე დროს ოზურგეთის საცდელ თამაქოს პლანტაციაზეც (ეხლანდელი საცდელი ჩაის სატგური) გაშენდა ჩაის სანერგე და დაირგა ჩაის ბუჩქები ცდების მოსაწყობათ ჩაის კულტურის შესასწავლით. სულ დასავლეთ საქართველოში საცდელი სანერგები იყო 23, აქედან გურიაში 9, სამეგრელოში 8 (ზუგდიდის შაზოაში 6 და სენაკისაში 2), იმერეთში 2 და სამურზაყანოში 4.

ამ საცდელ სანერგების და კერძო მემამულების ნარგავების ცდამ და დაკვირვებამ შემდევი დაგვიმტკიცა ჩაის კულტურის შესახებ:

1. ჩაის მცენარე კარგათ ხარობს ზეგან, მალლობ ადგილებში წითელ მიწაზე, ეგრედ წოდებულ „ეწერზე“, მშრალ, ქარისაგან დაფარულ, მყუდრო ადგილებში, გურიის სამხრეთ და შუაგულ ნაწილებში; სამეგრელოს შუანაწილებში და აფხაზეთის სამხრეთ ნიალში. ეს ადგილები ბათომის სანაპირო ადგილებთან ერთად წარმოადგენენ, ჩაის კულტურისათვის, მეტ და სამდიდარონ დასავლეთ საქართველოში.

2. ჩაის მცენარე გვარიანათ ხარობს ტყის ნაცრისფერ ზეადაგზე, ცოტათი მძიმე თიხნარზე თა ლილიარე



ჭალის (მერის) მიწაზეც: უფრო ცუდათ მძიმე თიხნა უდიდესია ადაგზე და კიდევ უფრო ცუდათ სველ და კირნარევ მიწაზე.

3. ჩაის მცენარეს შეოძლია იხაროს დასავლეთ საქართველოს დასავლეთ და შუა ნაწილების და აფხაზეთის ზოგ აღვილებში ზღვის დონედან 1000 ფუტის სიმაღლეზე და შეიძლება უფრო მაღლაც.

4. ჩაის მცენარე მეტად იჩაგრება ყინვებისაგან ბარ, ვაკე აღვილებში, საცა ტემპერატურა უფრო ნაკლებია, ვინემ ზეგნებში და მაღლობის ფენოებზე. ტემპერატურის—14° ც. დაწევით ზიანდებიან თოვლისგან დაუფარავი, დაუმწიფებელი ჩაის ყლორტები. გაზაფხულის ყინვების ან რთვილისგან დაზიანება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მეცრია ტემპერატურის რყივა ე. ი. თუ თბილზა ამინდმა გამოიწვია მცენარეში წვენის მოძრაობა და შემდეგ დადგა ცივი დარები ან პირიქით დართვილის შემდეგ უცებ დადგა თბილი ამინდი.

5. ჩაის კულტურისათვის მეტად არასასურველი მდგომარეობაა იმერეთის შვანაწილის გვალვები, რომელიც გამოწვეულია მშრალი და ცხელი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარით, რომლისაგან თითქმის ხეებიც ზიანდებიან; ამასთან შედარებით სინესტე ხშირად ეცემა 15%-ამდე და კიდევ ქვეით და ჩაის მცენარის ზრდა ჩერდება. იმ მხარეში, საცა ეს ზენა ქარია, ჩაის მცენარის გაშენება არა საიმედო საქმეს წარმოადგენს. ამ ქარისაგან ვერ პატიულობს ვერც საგანგებოთ გაშენებული საფარი ტყე და ვერც სხვა რამ საფარი.

6-ჩაის მცენარეს ცოტათი დაჩრდილვაც უხთება. ფენოებს შორის უმჯობესია უფრო გრილი, ვინემ მხურვალე, ამ შემთხვევაში ჩრდილოეთისაკენ მდებარე ფენოებს მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს სამხრეთისაზე.

7-ჯიშებს შორის უფრო კარგათ ხარობს „კანტრიული“ ჩინური ეს ჯიში გადაიტანეს ინდოეთში, აქ შეითვისა იქაური ჰავა და ეტყობა კიდევაც შეერია იქაურ ცსამის ჯიშს. კარგ ზეადაგის პირობებთან ეს ჯიში არ ჩამორჩება „იანლოუდუნს“; ამის ბუჩქები, გაშენებული პირდაპირ ჩინეთიდან მოტანილ თესლიდან, იძლევიან უფრო მეტ დიდს და მუქ ყლორტებს (დუყს). თუ კარგათ და წესზე მოვლილია და ამასთან შესაფერ ზეადაგზეა გაშენებული, ეს ჯიში ერთ დესეტინაზე იძლევა 3000—4000 ნედლ ფურცელს.

ჩაის კეთება გურია—სამეგრელოში დაიწყეს 1904 წლიდან; ჩაის აქ აკეთებდენ შინაურულად თავიანთ სახლში, ჩაი კარგი გამოდგა, იმავე თვისების და ხარისხის, როგორც ბათომის სანაპიროში გაკეთებული ჩაი, აქ კარგად დამზადებული ჩაი თავისი თვისებით ემგზაუსება ჩინურ შავ ჩაის.

როცა ჩაის შინაური წესით აკეთებს ცალკე თათო ოჯახი, მაშინ არა ერთნაირი ნაწარმოები გამოდის, ამნაირ საქონელს ყოველთვინ ნაკლები გასავალი აქვს; ეს გარემოება, ე. ი. ჩაის გასაღების მოუწყობლობა ხელს უშლის ჩაის კულტურის ფართოთ გავრცელებას.

რომ ამ მხრივ მცხოვრებლებს მიეცეს დახმარება მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 1913 წელს მოაწყო ოზურგეთის საცდელ პლანტაციაზე ჩაის ფაბრიკა, რომელმაც დაიწყო მუშაობა 1914 წლის მაისიდან. ამ 1914 წლის განმავლობაში მახლობელ სოფლებიდან მოიტანეს 3365 გირ. ჩაის ნედლი ფურცელი; ფაბრიკა კიდულობდა ნედლ ჩაის ფურცელს 13 კაბეკუათ გირვანქას, ნახევრად დამზადებულ ჩაის „მაოჩა“ (მხევე გამხმარი) 58 კაპ., გარდა ამისა ლებულობდა გასაკეთებლათ 20 კაპ., და პაჩკებათ დამზადებაში 10 კაპ.. ერთ გირვანქაზე.



ამ გარემოებამ დიდათ დააინტერესა მახლობელ ქადაგის ფლების მცხოვრებლები და ბევრმა მაშინვე დაიწყო ჩაის პლანტაციის გაშენება. პლანტაციისთვის ადგილის ამორ-ჩევა და შესაფერი დარიგება მიწის დამუშავების და და-თესვის შესახებ ყოველთვინ სწარმოებდა აგრონომის და ინს-ტრუქტორების ხელმძღვანელობით. ნერგს და თესლს აძლევდენ უფასოთ ოზურგეთის საცდელ პლანტაციიდან, ან იშვიათ შემთხვევაში თვითონ იძენდენ ჩაქვის მამული-დან, ან სხვა ბათომის სანაპირო ჩაის პლანტაციებიდან. იმ წელში გურია—სამეგრელოში გაიცა და დარიგდა 70 ათასი ნერგი და 300 ფუთამდე ჩაის თესლი. ამავე რდოს შეადგინეს და ქართულ ენაზე დაიბეჭდა დარიგება ჩაის გაშენება-მოვლის შესახებ.

ჩაის ბუჩქის გაშენება

ჰავა—ჩაის მცენარე სიცივეს იტანს ცელსიუსის 10 გრადუსამდე, მაგრამ იმ ადგილებში, საცა წყალს ისე ყინავს, რომ ყინულზე სიარული შეიძლება, იქ ჩაი არ უნდა დაირგოს. ჩაის არ შეუძლია აგრეთვე იხაროს იქ, საცა თოვლი მთელი ზამთრობით ძევს.

მეორე უსაჭიროესი პირობა ჩაის მცენარისათვის არის წვიმების სიხშირე და ამასთან მშრალი და ცხელი ქარი არ უნდა ჰქონდეს.

ყველაზე უფრო შესაფერი ადგილი ჩაის მცენარის გასაშენებლად არის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გურიი-სა, ნიგოითის ქედიდგან სამხრეთისაკენ და დასავლეთ ნაწილი ზუგდიდის მაზრისა, საზოგადოთ კი მყუდრო და დაფარული ზეგნები გურია—სამეგრელოს დასავლეთ ნა-წილისა.

ჭეალაგი—ჩაის ბუჩქი თითქმის ყოველნაირ ჟევდებულის
ეგუება, ის არ არის მიზეზიანი და შეუძლია იხაროს
ბევრ სხვადასხვა ნაირ მიწაზე, მაგრამ ის არ უნდა დაი-
როს: კირნარევ მიწაზე, ძლიერ მჩატე ქვიშნარ მიწაზე,
რომელიც მაღე შჩება, ძლიერ მძიმე თიხნარ მიწაზე,
რომელიც წყალს იქერს და არ უშვებს, სობელ და ჭიო-
ბიან მიწაზე. ჩაისთვის უფრო გამოსალეგია ლრმად დამუ-
შავებული ფხვიერი და ნოყიერი მიწა. ჩაის ბუჩქი კარგად
ხარობს წითელი ანუ მოყვითალო წითელ მიწაზე, რომე-
ლსაც დასავლეთ საქართველოში „ეწერს“ უწოდებენ.

მიწაში ნარევი წვრილ-წვრილი ქვები ჩაის ვნებას
არ აძლევს, პირიქით მისთვის სასარგებლოა განსაკუთრე-
ბით მძიმე მიწაზე, ვინაიდგან ის ქვები მიწას აფხვიე-
რებს, ათბობს და წყალს არ აჩერებს.

ჩაისთვის კარგია აგრეთვე ჭალები (მერიები), წყლის
ნალექი მიწა და გორაკების ძირა ადგილები. სამუშაო
მიწის ქვედა პირი წყალს არ უნდა იქერდეს. დაკვირვე-
ბით ვიცით, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩაი კარგად ხა-
რობს იქ, საცა გვიმრა კარგად იზრდება, ხეებს შორის
კი წაბლი, წიფელა და მუხა.

ადგილის მდებარეობა—ჩაის ბუჩქი უნდა დაირ-
გოს ზეგან ადგილებში, მაგრამ არც ძალიან დაქანებულ
ფერდობზე. ის კარგად იხარებს დაბალ ადგილებშიაც
საცა წყალი არ გუბდება და ამ შემთხვევაში კიდევაც
დიდ მოსავალს იძლევა, თუმცა უფრო დაბალი ხარისხი-
სას. საჭიროა კიდევ კარგი სამზეური და ამასთან ლო-
ნიერი ქარისაგან დაფარული ადგილები.

ყველაზე უფრო ჩაისთვის სავარგისია ფერდოები:
სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის და და-
სავლეთის, თუ კი ესენი დაფარულია ზღვის ლონიერი ქა-
რისაგან.



ამნაირად დასავლეთ საქართველოს დასავლეთი კულტურული წილში თითქმის ყოველგან იხილებს ჩაი; ყველაზე უკეთეს ადგილათ ჩაისთვის ითვლება ზეგნები, სერები და შეფერდება ადგილები; ვაკე და დაბალ ადგილებში, ჭალებში (მერიებში), თუმცა ჩაი კარგად ხარობს, ხარბათ იზრდება, მოსავალიც მეტი იცის, მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ლირსებით ის ნაკლებია; გარდა ამისა დაბალ ადგილებში მეტი ყინვებია და ქარიც ღონიერი იცის, ვინემ ზეგნებში. საქართ ადგილებში საჭიროა ჩაის პლანტაციას საფარი გაუკეთდეს, რისთვისაც შეიძლება მაღლათ მოზარდი ხეები დაირგოს.

ჩაის პლანტაციის გაშენება—ჩაის გაშენება სამუდამო ადგილზე შეიძლება პირდაპირ თესლით ან ნერგებით. საზოგადოთ ჩაი ყოველთვის თესლით მრავლდება. თესლს (კაკალს) აგროვებენ შემოდგომაზე, ამ დროს ჩაის პარკი წითლდება და სკდება; თესლის ნაკუჭი (ლენჭო) იღებს მიხავის ფერს; თესლიან პარკს კრეფენ, აშრობენ და შემდეგ თესლს აშორებენ. თესლი უნდა დაიკრიფოს სალი და კარგი ბუჩქებიდან; კარგი თესლი თხილის კაკლის ოდენაა და წყალში ძირავს, გული აქვს სრული, თეორი ფერისა და მაგარი. თესლი სანამ დაითესებოდეს შენახული უნდა იყოს გრილ ადგილას ყუთებში, ან პარკებში (ტომსიკებში) ფხვიერ და ოდნავ ნოტიო მიწაში არეული. ამნაირად დამზადებული თესლი ითესება სამუდამო ადგილზე ან სანერგებში.

თუ ის ადგილი, საცა ჩაის პლანტაცია გვინდა გავაშენოთ, ტყიანია ანუ ბუჩქნარი, მაშინ ის უნდა გაიკაფოს, ძირები ამოითხაროს და ყველა ნაკაფი მოგროვდეს და დაიწვას; ნაცარი მიწას უნდა დაეყაროს სასუქათ.

თუ საჩაიე ადგილზე გვიმრაა ამოსული, მაშინ აღნიშვნა
გაზაფხულზე, როცა ახალი გვიმრა მიწიდან თავს იჩენს,
საჭიროა წინდაწინ ძველი, გამხმარი, შარშანდელი გვიმ-
რა მოიწვას და ნაცარი მიწაში ლრმად ჩაიხნას, ან თო-
ხით ჩაითოხხნოს, რომ წვიმამ არ ჩარეცხოს. როცა გვიმ-
რის ლეროები ხელახლად გამოჩნდებიან, მაშინვე უნდა
მოიცელოს, სანამ ფურცელი გაეშლებოდეს, თუ კიდევ
ერთ-ორხელ მოიცელა, გვიმრა ამით დასუსტდება და
ბოლო მოელება.


ჩაისთვის გაკაფული და გაწმენდილი ადგილი უნდა
დაიბაროს არა ნაკლები 10 ვერშოკის სილრმეზე; ამასთან
მიწა უნდა გადაბრუნდეს – ზედა პირი ქვეშ მოექცეს და
ქვეშა ზევით, ერთი სიტყვით მიწა უნდა დაიბაროს პლან-
ტუით, ესე იგი გადაბრუნდეს, როგორც ნამყენი ვენა-
ხისათვის. ჩაისთვის კარგად დამუშავებული მიწა უნდა,
რომ ჩაის ნორჩია ფესვებმა ადვილად იშოვოს საზრდო და
მაღალ გაღონიერდეს.

პირველადვე ცუდათ დამზადებულ მიწას შემდე-
გშიაც აქვს გავლენა ჩაის ზრდაზე და მის მოსავალზე. ადგილის გაწმენდის დროს ნაკაფი: ბარდი, ეკალი, ბალა-
ხი, ძირები, გვიმრა და მისი ძირები (რომელიც საჭიროა
კარგად ამოირჩეს და მოგროვდეს) ყველა ერთად უნდა
მოგროვდეს და ადგილობრივ დაიწვას, რომ ნაცარი სა-
სუქათ გამუადგეს მიწას.

მიწის დაბარვა უმჯობესია დათესვამდე ან დარ-
გვამდე რამოდენიმე თვით ადრე, რომ მიწა დაჯდეს და
გადავბეს. დიდოროვანი გოროხები უნდა დაიფშნას და
ადგილი მოსწორდეს. ზაფხულის განმავლობაში, თუ საჩა-
იე ადგილი გადაბრუნებულია, საჭიროა ერთ-ორხელ გაი-
თოხხნოს ბალახები მიწაში უნდა ჩაითოხხნოს ან დაიხნას,
ან მოგროვდეს და დაიწვას.

არ შეიძლება ერთბაშად გადაბარვის მაგიერული რომ ქნას არხებმა, ან ორმოებში დარგვამ, ვინაიდგან ამ შემთხვევაში მცენარეს არასოდეს არ ექნება იმნაირი კარგი ზრდა, როგორც ერთიანად გადაბრუნებულ მიწაზე. მხოლოდ ძლიერ დაქანებულ ფენოებზე, რომლებიც პირწმინდა გადაბარვით შეიძლება დაიმეტყეროს, უნდა გაკეთდეს თხრილები განჩე, არხები ერთიერთმანეთზე დაშორებული 2—3 არშინზე, სიღრმით 10—12 ვერშოკი, თხრილები ან სწორედ უნდა იყვეს გაყვანილი ან ოდნავ დაქანებული.

სწორ და ვაკე ადგილებში შესაძლოა ხელით გადაბარვის მაგიერ ვიხმაროთ გუთანი: ჯერ ჩვეულებრივი გუთანი მიღის, მას კვალში მიყვება მეორე მიწის საღრმავებელი გუთანი.



ნახ. 3. ტერრასები—დაკიბული კვლები.

თუ ის ადგილი, რომელზედაც პლანტაცია კეთდება ფერდოა და ამასთან მეტად დაქანებული, მიწა რომ არ ჩამოირეცხოს, დაბარვის შემდეგ ტერრასებათ უნდა დაიყოს, ესე იგი დაკიბულ კვლებათ (ტერრასები — დაკიბული კვლები ნახ. 3). ფერდოებზე, ზოგიერთ ადგილზე, საჭი-




რომ სალვარავი არხების გაყვანა. ტერრასები ამ არხებით საკენ ცოტათი დაქანებული უნდა იყოს, რომ წყალი კაო-
გად წავიდეს. თითეული ტერრასი ანუ დაკიბული
კვალი უნდა იქნეს ფართე იმ ზომის რომ მაზედ დაე-
ტიოს ჩაის ბუჩქების არა ნაკლები ორი პწყარისა. დაკი-
ბული კვლების ვაკე, საცა ჩაი ირგვება, ცოტათი დაქანე-
ბული უნდა იყვეს ძირისკენ და კვლების გვერდები ძირ
გაზგმული, რომ მიწა არ ჩამოშვავდეს.

ჩაისთვის დამზადებულ მიწაზე სანამ ჩაი დაითესე-
ბოდეს ან დაირგვებოდეს, უნდა დაინიშნოს ის ადგილები,
საცა მომავალში ჩაის ბუჩქები იქნება; ამისათვის საჭი-
როა გძელი ბაწარი და მოკლე ჩხირები. დათესვის შემ-
დეგ ჩხირები თავის ადგილზე უნდა დარჩეს, სანამ მცენარე
კარგად არ მოლონიერდება. ჩაი უნდა გაშენდეს რიგზე,
პწყარს და პწყარს შვა 2 არშინი მანძილი უნდა დარ-
ჩეს, ბუჩქს და ბუჩქს შვა პწყარში არშინ-ნახევარი. ირგვე-
ბა ჭადრაკულად (ნახ. 4) ჭადრაკული წესით დაყოფა) ამ
რიგათ დარგული ჩაი ერთ დესეტინაზე მოთავსდება 7200
ბუჩქი.

ჩაის თესლი (კაკალი) უკეთესია დაითესოს შემოდ-
გომაზე, შეიძლება გაზაფხულზეც დაითესოს არა უგვიანეს
მარტისა; თუ კარგი ამინდები იქნა ზამთარშიაც დაითე-
სება, ადრე დათესვა სჯობია, ერთი იმიტომ რომ ჩაის
თესლი მაღე ფუჭდება და მეორე ადრე დათესილში მომ-
ცდარი ადგილები გაზაფხულზე შეგვიძლია გამოვთესოთ.

თესვის დროს ჩხირის გარშემო მიწა უნდა აიჩიჩ-
ქნოს და კარგათ დამზადდეს. ამნაირ დამზადებულ მიწა-
ში უნდა ჩაირგოს 3—5 ჩაის თესლი (კაკალი) ერთი
მეორეზე დაშორებული 2 ვერშოკზე. ჩაის თესლი (კაკალი)



ნახ. 4. ჭადრაკული წესით დაყოფა.

(როდესაც თესლი ამოვა და მცენარე წამოიზრდება, ყოველ ჩხირთან სტოვებენ თითო ლონიერ ძირს, დანარჩენს კი იღებენ, ანდა ხშირად ერთად სტოვებენ 2—3 ბუჩქს.

პირველი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციას სჭირდება მხოლოდ ოოხნა, რომ ბალახმა არ შეაწუხოს ნორჩი მცენარე. თუ ვინიცობაა ჩაის ბალახმა ამოასწროს, ჩხირის გარშემო, საცა ჩაის თესლია (კაკალი) დარგული, ხელით უნდა გაიმარგლოს.

გათოხნა საჭიროა ზაფხულის განმავლობაში იმდენ-
ჯერ, რამდენსაც ადგილი მოითხოვს, რომ ყოველთვის ჩაის პლანტაცია ბალახისაგან გაწმენდილი იქმნეს.

თუ ჩაის პლანტაცია გვიმრიან ადგილშია გაშენებუ-
ლი, როგორც კი გამოჩნდება მიწიდან გვიმრა, მაშინ ვე



უნდა მოიჭრას; ამ საშვალებით გვიმრის სამუდამოად მომზადება. პობა შეიძლება.

სანერგე — სანერგისათვის უნდა ამოირჩეს იშისთანა ადგილი, რომელიც კარგად დაფარულია ქარისაგან და პაპანაქება სიცხისაგან. საფარად შეიძლება ექნეს ტყე საზოგადოთ ხეები, შენობები და ობიექტები აღმოსაცემია აღმოსაცემისაგებითის და ჩრდილოეთისაც, თუ კი ის ნამეტანი დაქანებული არ არის. მიწა უნდა იყოს ფხვიერი და გაშენდილი ბალახებისაგან, უკეთესია, თუ სანერგეც იმნაირი მიწაა, როგორც მომავალი პლანტაცია. უნდა ვერიდოთ იმ ადგილებს, საცა მახრა (მჭრელი, ბოსტანა) ბევრი იცის, რადგან ახლად ამოსულ ჩაის ეს მწერი ძლიერ აფუჭებს.

კვლებისათვის ამორჩეული ადგილი უნდა დაიბაროს 6 ვერშოკის სიღრმეზე, გაიწმინდოს ძირებისაგან და ბალახისაგან- კვლებზე რომ წყალი არ დაგუბდეს, საჭიროა ცოტათ ისინი ავამაღლოთ მიწის სისწორიდან 2 ვერშოკის სიმაღლეზე.

ჩაის თესლი აღმოცენების ძალას მაღე კარგავს, ამისათვის საჭიროა დაკრეფის შემდეგ ის მაღე დაითესოს. თესლი უნდა დაითესოს კვლებში მწკრივი-მწკრივიდან 3—4 ვერშოკის მანძილზე უნდა იყოს და თესლები კი 1—2 ვერშოკით დაშორებული ერთი მეორეზე. ერთი ფუთი თესლის დასათესათ საჭიროა დამზადდეს 50 ოთხკუთხი საჟ. მიწა. თუ თესლი საიმედო არ არის, მაშინ უფრო სქლად უნდა დაითესოს.

დათესვის შემდეგ საჭიროა კვლები ცოტათი დაიფაროს მშრალი ფოთოლით, გვიმრით, ისლით და სხვა ამგვარებით, რომ ამით მიწა დაიჩრდილოს და აღრე არ გამოშრეს; თუ ჭიგვალვა დაუდგა საჭირო იქნება კვლების

მორწყვა. როცა ჩაი ამოსვლას იწყებს, ზემოდან დაფურცელდება ბულ ფოთლებს აცლიან და კვლებს ისევ ჩრდილავენ პანაირად: კვლების იქით-აქეთ კიდეებში ასობენ ბარჯგებს, ზედ ჯოხებს გადებენ და მასზე აფარებენ ჭილოფებს, ანუ ხის ფურცლიან შტოებს. საჩრდილებელი ძალიან სქელი არ უნდა იქნეს, თუ გვალვამ ვასტანა, მაშვინ მორწყვაც საჭირო დარჩება. როცა ახალ ამოსულ ჩაის ექნება 2—3 ფურცელი, საჩრდილობელი უნდა აეცალოს, მაგრამ არა ერთბაშად და ცხელ დღეში, არამედ უმჯობესია ამისათვის აირჩეს ლურბლიანი დღე.

მოვლა ზაფხულის განმავლობაში მდგომაეორბს მარგვლა - თოხნაში და მიწის ზედა პირის დაფხვიერებაში. თუ ნერგი ძალიან ჩაარა იზრდება და ზევით იწევს, მაშინ საჭიროა თავების წაჩქმეტა - ზევითა კვირტი ფრჩხილით უნდა მოიგლიჯოს; შემდეგ ამისა ნერგი ტოტებს გაიკეთებს და ძირსაც უკეთ გაიდგამს.

ნერგი თუ შემოდგომისათვის გაიზარდა სიმალლით ნახევარი არშინი და ძირში გამსხვილდა ბატის ფრთის ოდენა, მაშინ შეიძლება იმავე შემოდგომაზე გადირგოს სამუდამო ადგილზე; თუ წვრილებია, მათ სტოვებენ სანერგეში კიდევ ერთ წელიწადს თუ ნერგები კვლებზე თხლათ (მეჩხრათ) არის და ერთი მეორეზე თანასწორად, მაშინ შეიძლება დავტოვოთ იმავე კვლებზე მეორე წელიწადს, წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია გადაირგოს ახალ კვლებზე იმავე შემოდგომაზე. დარგვის დროს ნერგების ძირს უნდა მოაკლ უს ერთი მესამედი და ამის შესაფერად ზედა ტანიც უნდა შემოკლდეს; დარგვის შემდეგ ნერგები უნდა მოარწყოს.

თუ ნერგები დარჩა იმავე დროს კვლებზე მეორე წელიწადს, მაშინ შემოდგომაზე ისინი უნდა გაისხლას,



ტანს მოაკლდეს ერთი მესამედი. გადაჭრა უნდა მწვანე ნაწილის ქვემოთ, ცოტა წითელი, უკვე გახევევჩული ნაწილებიდან. საჭიროა აგრეთვე მოვაცილოთ უსწორ-მასწორი, გაბრუნდებული (დალრეკილი) ტოტები და ზედმეტი ღეროები, თუ კი ბუჩქი ძირიდან იყოფა.

პლანტაციაზე ნერგები შემოდგომაზე უნდა გადაირგოს. თუ კი ნერგები ზამთარში სანერგეში დარჩა, მაშინ საჭიროა კვლების რითმე დაფარვა, რომ სუსტი ნერგები ყინვებმა მიწიდან არ ამოაგდონ. უნდა აგრეთვე თვალყურის დევნა, რომ სანერგეში წყალი არ დაგუბდეს.

ნერგებით ჩაის პლანტაციის გაშენება — ჩხირებით დანიშნულ ადგილზე, დარგვის რამოდენიმე დღის წინათ, იღებენ ორმოებს იმ ზომისას, რომ შიგ ნერგების ძირები თავისუფლად მოთავსდეს; თუ მიწა ერთობ მწირეა, მაშინ ორმოს უფრო ღრმად იღებენ და დარგვის დროს შიგ ყრიან ნოყიერ მიწას. დასარგავად უნდა აირჩის კარგი და ღონიერი ნერგები. სუსტები კი უნდა დავტოვოთ სანერგეში კიდევ ერთი წლით.

ჩაის ნერგი არ უნდა დაირგოს მშრალ მიწაში; უკეთესი დრო დარგვისა არის შემოდგომა (ოქტომბერი და ნოემბერი), როცა არც სიცხეა და არც ყინვებია დაწყებული; თუ თებერვალში და მარტის პირველ ნახევარში კარგი თბილი დღეებია და წვიმებიც მოდის, შესაძლოა ჩაი ამ თვეებშიც დაირგოს.

ნერგების ამოთხრის დროს უნდა ვეცოდოთ, რომ ძირები არ გაუფუჭოთ, წამხდარ და დაზიანებულ ძირებს აკვეცენ მაკრატლით და ძირების შესაფერისაზ ნერგის ზედა ტანსაც ამოკლებენ.

თუ შესაძლოა, უკეთესია ნერგები მიწიანათ ამოვლებული
ლოთ, ამ შემთხვევაში ძირები ყველა მთელი იქნება და
ზედა ტანს გადაჭრა აღარ დასჭირდება; საკმაო იქნება
ფრჩხილით მოვგლიჯოთ წევრის (კატარის) კვირტი, ან
ლერის წევრი ერთი ფურცლით.

თუ ნერგები უმიწოთ ამოლებულია, მაშინ საჭირო
ძირების ამოვლება ლაფში, რომელიც შესდგება საქონ-
ლის ახალი ნეხვის და მიწისაგან. ლაფი მზადდება ამნაი-
რად: კასრში, ვედროში, ქვაბში, ან პირდაპირ მიწაზე
ამოლებულ ორმოში ყრიან ერთ ნიჩაბ თიხის წითელ მი-
წას, ერთ ნიჩაბ საქონლის ახალ ნეხვს, ასხამენ წყალს და
ჯობით კარგად აურევენ.

ორიობი, როგორც მოვიხსენიეთ, იმ ზომის უნდა
იყოს, რომ შიგ ძირები თავისუფლად მოთავსდეს და ძი-
რის წვერები ზეცით არ უნდა ამოეკეცოს. გრძელი უმ-
თავრესი ძირი შეიძლება ცოტათი დავამოკლოთ, გადავჭ-
რათ დანით ან მაკრატლით, მაგრამ 4 ვერშოქზე უმოკ-
ლესად არა, ტანი კი შეიძლება დავამოკლოთ 3 ვერშო-
კაზდე.

დარგვა უნდა უფრო ლრმად, ვინემ სანერგეში იყო
დარგული. ძირებს უნ და მიეყაროს კარგი ფხვიერი მიწა
და როცა ორმო ამოიგესხა, ფქნით უნდა დაიტკეპნოს;
შემდეგ მაწის ზედა პირს დაშლიან დააფხვიერებენ, ბუჩ-
ქის გარშემო ამოალრმავებენ, რომ წეიმის დროს წყალი
ჩადგეს და მიწა გაალბოს.

უჩჯობესია დაირგოს ღონიერი ორი წლის ნერგები,
რომ მეტმა ნაწილმა გაიხაროს. ნერგები ძრიელ პატარე-
ბია, შეიძლება ისინი ორორი დავრგოთ თითეულ ორმო-
ში, ასე რომ გახარების შემდეგ ერთი დავტოვოთ, მეო-
რე კი მოვაშოროთ, ან ორივე დავტოვოთ იმ ადგილზე,
როგორც ჩინელები შერებიან.



როცა ტერრასებზე ვრგავთ, საჭიროა დარგვა^{მიღებული}
დაიბაროს ზოლებათ ვაკის ინ ნაშილი, სადაც ჩაიტანებული
ვი ირგვება, რომ ბუჩქებ ქვეშ ლრმად დაბარული მიწა
დარჩეს.

თუ ახლო წყალია, კარგი იქნება ახლად დარგული
ნერგები მოირწყოს: განსაკუთრებით მაშინ, თუ რგვის
დროს სიცხე დაესწრო და ნერგები უმიწოთ იყო ამო-
ლებული.

დარგვის შემდეგ საჭიროა თითეულ ორმოში დარ-
გულ ნერგს მოყლე სარები მიუსით.

უწინ თავდაპირველათ ჩაის პლანტაციის აშენებდენ
განსაკუთრებით ნერგებით. 10—15 წელიწადია მას აქეთ
თესლით პირდაპირ ჩაის პლანტაციის გაშენება დაიწყეს
ჩაქვის მამულში და კარგი შედეგიც მოყვა. ეხლა ნერგით
ჩაის გაშენება თითქმის მიტოვებულია და უპირატესობა
ეძლევა პირდაპირ თესლით გაშენებას. ჩაის ნერგი გა-
დარგვას კარგად ვერ იტანს, ბევრი ხმება, ფუჭდება და
რომელიც რჩება დიდ ხანს ვერ ღონიერდება; ამასონ თე-
სლით გაშენება შედარებით ბევრად უფრო საადვალოა,
ვინემ სანერგის მოწყობი და იქიდან ნერგების გადმორ-
გვა.

პლანტაციის მოვლა

პირველ წელიწადს. პლანტაცია ხშირად უნდა გაი-
თოხნოს, რომ ტყის ბალახი არ მოერიოს: გაშემარი ტო-
ტები და წვერი (კატარი) უნდა წაეკრას, ბუჩქის გარშე-
მო მიწა უნდა გაფხვიერდეს, მიწა შემოეყაროს იმათ რო-
მელთაც წვიმებმა მიწა გადაართვა.

სარეველა (ტყის) ბალახი უნდა მოშორდეს თოხით,
თუ რამდენჯერ გაითოხნოს, ეს დამოკიდებულია ამიდზე



და ბალახის მორევაზე; საზოგადოთ უნდა ვეცადოთ, პლანტაციაში ტყის ბალახი არ გეიზარდოს და ნაიუზ-ზე ნარგავს არ მოერიოს.

ბუჩქის გარშემო გამარგვლა სჯობია ხელით, განსაკუთრებით ნათესის ძირებში ბალახი ფრთხილად ხელით უნდა მოვაშოროთ, რომ თითონ ჩაის ბუჩქი არ გაფუჭდეს. მიწის გაფხვიერება სჯობია ხელის პატარა ბარით, ან უბრალო თავ წამახვილი ჯოხით, რომ მცენარეს არ ევნოს და არ შეირყას. თუ გვიმრა გაჩნდება, საჭიროა ის მაშინვე მოშორდეს, სანამ ფურცელს დაიმდიდრებს, შეიძლება ამნაირად თანდათან და სამუდამოთ ის მოისპოს.

შემოდგომაზე ან ზამთარში საჭიროა გამოირგოს ის ადგილები, საცა თესლი არ ამოსულა, ამისთვის შეიძლება ნერგები ამოვილოთ იმ ადგილებიდან, საცა 5 მცენარეა ამოსული, იმ ანგარიშით, რომ სამუდამო ადგილზე დარჩეს არა ნაკლები 3 მცენარისა. თუ ეს არ მოხერხდა და არც სხვა ნერგები გვაქვს, მაშინ ცარიელ ადგილებში ხელახლა უნდა დაითესოს ჩაის თესლი.

პირველი წლის გასულს ნერგებით გაშენებულ პლანტაციაში, შემოდგომაზე, გამხდარი ბუჩქების მაგიერ ახალი ნერგები უნდა ჩაემატოს, ურიგოთ აზრდილი ბუჩქები უნდა გაისხლოს, ან თავები მოეჩქმიტოს, თუ ბუჩქი მიწასთან ახლო ორ ტოტათ იყოფა, ერთი უნდა მოიჭრას, თორებ თოვლს ადგილად შეუძლია გახლიჩოს.

ბუჩქი, თუ სუსტი ტანით სულ ზევით იწევს, ის უნდა დამოკლდეს, გადიჭრას ზევით ერთი მესამედი მწვანე ნაწილი და ტანის ცოტა ძველი ნაწილიც. თუ ბუჩქი ტოტებს სუსტათ იკეთებს, ყველა ტოტების წვეროები, კატრები უნდა გადაეჩქმიტოს.

დაბარვა უნდა მოხთეს შემოგვიმაზე ან ჩამაჯრაში და ბუჩქების ძირში მეტად სიფრთხოლით, რომ მცენარეს ძირ-ფესვები არ დაუშავდეს. დაბარვის დროს მიწა ბარით უნდა გადაბრუნდეს; ბარის მაგიერ უკეთესია ვიხმაროთ 3—4 კბილიანი რკინის მერული.

პირველ წელიწადს, როკა ბუჩქი კიდევ პატარაა, პლანტაციის ერთიანად დაბარვის მაგიერ შეიძლება მხოლოდ ბუჩქებს შემოებაროს. დანარჩენი დაუბარავი ადგილი კი უნდა გაითოხნოს ტყის ბალახის მოსასპობლად და ამასთან მიწის ზედა პირის გასაუხვიერებლათ. გათოხნის დროს ბუჩქს, თუ ძირები გამოუჩია, ის მაშინვე მიწით უნდა დაიფაროს. თოხის მაგიერ ამ შემთხვევაში უმჯობესია ვიხმაროთ თოხ-მერული.

ზამთარში ჩაის ნარგავებს ესაჭიროება ყურის გდება, რომ ნიაღვარმა არ ავნოს, თუ ჩამორეცხა, დაუყონებლივ უნდა გასწორდეს. ვაკე და სწორ ადგილზე წყალს უნდა გაეკვალოს, მიეცეს წასავალი, რომ ერთ ადგილზე არ შეგუბდეს.

რომ ნიაღვრიდან ჩამორეცხა თავიდან ავიცილოთ, საჭიროა წინდაწინ დაიკვალოს პლანტაცია, მიეცეს წყალს გასავალი პატარ-პატრა არხებით: არხებს უნდა ექნეს ჩასავალი წინდაწინ დამზადებული რიყის ქვით ამოშენებულ უფრო დიდ არხში, ან წყალი უნდა გადიშვას პლანტაციის კიდეზე, უბარავ ადგილში. სოველ და ნესტიან ადგილებში მიწის გასაშრობი არხებია (დრენაჟი) საჭირო.

მეორე წელიწადს პლანტაციაის მოვლის შესახებ სამუშაო არის: ბალახის მოშორება, ბუჩქის ფორმის მიცემა და დაბარვა.



პლანტაციის გათოხნა ტყის ბალახის მოსასპობებულის უნდა
და დაბარვა ისე უნდა, როგორც პირველ წელიწადს. თუ
წელიწადი მჰრალია, მიწა რომ არ გახმეს ლრმად არ უნ-
და დამუშავდეს. ზაფხულის განმავლობაში ნარგავებს გა-
თოხნა დასჭირდება 3—5 ჯერ, ამასთან ბალახები როცა
ცოტათი შეხმება, მიწაში უნდა ჩაითოხნოს, ან მოგროვ-
დეს, დაიწვის და ნაცარი მიწას სასუქათ მოხმარდეს.

ახალი ბუჩქი მეორე წელიწადს უნდა გეისხლას, გეი-
ხუჭოს იმ მიზნით, რომ მან მიიღოს განსაზღვრული ფორ-
მა, სახე, მოსაკრეფათ რომ ადგილი იქნეს და ამისთვის
რაც შეიძლება ბევრი ფურცელი მოგვიას.

ამისთვის უკეთესი ფორმაა გადგმული, რაც შეიძ-
ლება ფართე და განიერი. ამ ფორმის მისაცემათ საჭი-
როა ის ყლორტები, რომელნიც ნამეტარი მაღლათ ასუ-
ლია, ან შუა ბუჩქშია ამოსული, მოკლეთ გაისხლას; გვერ-
დის ყლორტები კი უფრო გძლათ, ასე რომ ბუჩქი უნდა
გაგანიერდეს. ის ყლორტები, რომელნიც გარეთ შორს
იწევენ, ან ისე ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან, რომ
უშლიან თავისუფალ ზრდას და ამასთან თვითონაც ცუ-
დათ იზრდებიან, სულ უნდა მოიჭრას.

გასხვლის შემდეგ ბუჩქებს ქვეშ მიწა ფრთხილად
უნდა გაფრხვიერდეს, ისე რომ ძირებს არაფერი ევნოს;
ამასთან პლანტაცია უნდა დაიბაროს ერთი ბარის პირზე.
ნასხლავი უნდა მოგროვდეს, დაიწვის და ნაცარი კიდევ
სასუქათ მოხმარდეს. ზამთარში კიდევ უნდა ყურის გდე-
ბა, რომ წვიმამ და ნიაღვარმა არაფერი ავნოს.

მესამე წლის განმავლობაში ნერგებს მოვლა ისეთი-
ვი უნდა, როგორც შეორე წელში, მხოლოდ თუ ზაფხუ-
ლის გასულს ბუჩქები აყვავდა, საჭიროა ყვავილები დაე-
გლიჯოს, რომ ახალგაზრდა ბუჩქები ნაყოფის შოტანით
არ დასუსტდენ.

ამ წლიდან იწყება პლანტაციის მოსავლელათ ჩეკე-
ლებრივი დამუშავება, რომელიც საფალდებულოა აშენდება
გი წლებისთვის: გაზაფხულზე და ზაფხულში ადგილის
გაწმენდა ტყის ბალახისაგან, როგორც გასულ წლებში,
ზამთარში დაბარვა, როგორც წინეთ და ბუჩქის გასხვლა.

პირველ წლებში, როცა ჩაის ბუჩქი კი დევ პატარე-
ბია, შეიძლება მათ შორის დაითესოს იმნაირი მინდვრის,
ან ბოსტნის მცენარეები, რომელნიც ძლიერ მაღლა არ
იზრდებიან და მიწას დიდათ არ ლალავენ, მაგალითად:
ცერცვი, კუტი ლობიო (ხოხია ლობიო), სოია (ქვალობიო),
ძაძა (წილობიო) და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძ-
ლება სიმინდიც, მხოლოდ რაც შეიძლება მეჩხრად (თხლად,
ერთი ან ორი პწყარის ჩაგდებით).

მეოთხე წელიწადს შეიძლება დაკურიფოთ ცოტაო-
დენი ჩაის ფურცელი; ამ მიზნისთვის გადაჩქმეტენ მხო-
ლოდ იმ ყლორტებს წვეროებს, რომელნიც ზევით ან
განზე იზრდებიან.

ამ ხნიდან იწყება ყოველ წლიური პლანტაციის
მოვლა: ზაფხულში რამოდენიმეჯერ უნდა გაითოხნოს, რომ
პლანტაცია ბალახისაგან გაიწმინდოს და მიწა გაფხვიერ-
დეს; ზამთარში გაისხლას და შემდეგ ლრმად უნდა დაი-
ბაროს. თუ ბუჩქებს ძირებში მიწა შემოეცალა, საჭიროა
მიწის შემოყრა.

დაკიბულ პლანტაციაში ბალახიანი ფერდოები უნ-
და მოიცელოს და არ დაითოხნოს, რადგან შესაძლოა და-
თოხნილი ნიაღვარმა უფრო ადვილად ჩამორეცხოს.

ჩაის ბუჩქი მიწას დიდათ არ ლალავს და თუ მიწა ლო-
ნიერია, დიდი ხნის განმავლობაში სასუქი არ სჭირდება;
მწირე მიწისთვის სასუქი აუცილებელია. ჩაის პლანტაცია-
ში სასუქად არ უნდა ვიხმაროთ იმნირი ნივთიერებანი,

რომელთაც ცხარე და მყრალი სუნი აქვთ, არ იხმარებიან მაგალითად ლორის და ცხენის ნაკელი; ყველაზე უკეთესია ძველი, კარგად გადამგბარი რქიანი საქონლის ნაკელი, როცა ის შენახულია დიდ-დიდ გროვებათ დაჩრდილულ ადგილებში. კარგი სასუქია აგრეთვე ნაცარიკ.

სასუქის დაყრა უმჯობესია გვიან, შემოდგომაზე, ადრე გაზაფხულზე, ან პირველი ფურცლის გაკრევის შემდეგ. თითო ბუქეს ეყოფა 4—5 გირ. ნაკელი, ამისთვის ბუქეს ირგვლივ შემოუთხრიან მიწას 3—4 ვერშოკის სილრმეზე და შიგ ჩაყრიან მიწაში არეულ ნაკელს და ზევიდან ერთ ვერშოკზე მიწას დააყრიან. ფერდობებზე ბუქებს სასუქის ჩასაყრელად ამოუთხრიან მიწას მარტო ზევითა გვერდით. ბუქეზედ რომ 5 გირ. სასუქი ვიანგარიშოთ, ერთ დესეტინას დასჭირდება 1000 ფუთამადე, ან დაახლოვებით 50 დიდი ურემი. ჩინეთში და იაპონიაში ხმარობენ თხელს და გადადულებულ კაცის სასუქს; ეს სასუქი მაღა მოქმედებს და ამასთან შესაძლოა ის ვინმართ მარტო ზაფხულში, როცა ბუქე ზრდაშია, ამასთან ეს უფრო ცოტა უნდა, ვინემ სხვა სასუქი.

საჭიროა ვიქონიოთ სახეში, რომ მეტად ძლიერი აზოტიური სასუქი ცუდათ მოქმედობს ჩაის თვისებაზე.

სველი ადგილების გაშრობა (დრენაჟი). დრენაჟის, საწრეტი არხების მიზანია ზეადაგში ჩამდგარი წყლის მოშორება. მაღლობ და ზეგან ადგილებში წყლის ჩადგმა არ შეიძლება, ვინაიდან მათ აქვთ ბუნებრივი დრენაჟი. ვაკე და დაბლობ ადგილებში, ან გორაკების, ქედების ძირებში, თუ ნაკლები დაჭანება აქვთ, წყალი უფრო ხშირად დგება, განსაკუთრებით იმ მძიმე თიხნარ მიწებზე, რომლის ქვეშა ნიაღავი წყალს იქერს და არ უშევებს. ამნაირ ადგილებში ადვილათ გროვდება მეტი სი-

ნესტე, რომელიც დიდხანს აჩება წვიმების შემდეგ უძველესად ზამთარში, ან თოვლის დაღნობის შემდეგ უძველესად დაგი აჩება სველი, ცივი, რის გამო ბუჩქები ცუდათ იზრდებიან და ავადყოფობაც ადვილად ერევა. ამნაირი ადგილები უნდა გაშრეს საწრეტი არხებით, თუ შესაძლოა ჩაის დარგვამდე, თუ ეს არ მომხდარა და სინესტე შევამჩნიეთ, როცა ჩაი დარგულია, იმ შემთხვევაში მაშინვე დარგული ჩაის სრელებში უნდა გავიყვანოთ სრელებს შუა ვიწრო და ლრმა საწრეტი არხი.

საერთო კანონია, რომელიც აუცილებლად დაცული უნდა იქნეს, რომ გისაშრობ ადგილებში დარგულ ბუჩქების ძირზე მეტად უფრო ლრმათ უნდა იქნეს საწრეტი არხები, რომ ბუჩქების ძირების ქვეშიდან წყალი ადვილათ ჩავიდეს არხში. პატარა და დაბალ არხებში წვიმის წყალი უცებ მიღის, და აშრობს მიწის ზედა პირს, ქვეშ კი ისევ უწინდელივით შეიძლება დარჩეს შემდგარი წყალი, რის გამო ამნაირ არხებს უფრო მეტი ვნება მოაქვს.

საწრეტ არხებს აკეთებენ ლიას ან დახურულს, დახურული არხი სჯობია, რადგან ეს მიწის ზედაპირს სულ არ აშრობს და წვიმის დროს არ მიაქვს ჩამონარეცხი მიწა, მაგრამ ეს მეტად უფრო ძვირად ჯდება.

არხში, რომელიც იხურება, უნდა გაკეთდეს მილი, რომ არხის გვერდებიდან წყალმა ადვილად გაეონოს და შიგ თავისუფლად იღინოს. მილის მასალათ ხმარობენ რიყის ქვას, წქნელს, ან ამისთვის განკებ დამზადებულ თიხის მილებს. მილი ასე უნდა გაკეთდეს: არხის ძირში აწყობენ იქით-აქეთ რამოდენიმე ვერშოკის დაშორებით მოგძო ქვებს და ზევით აფარებენ პტიყელ ქვას, მერმე აყრიან წვრილ ქვებს და კენჭებს, რომ ჭუკრუტანები დაიფაროს და არ დარჩეს, თორემ შიგ მიწა ჩაცვივა და მი-


ლი ამოიმსება; შემდეგ კიდევ აყრიან ნაფოტს, ჩალას, ამსახურებულის ან სხვა ამისანი მასალას და შერე მიწით ამზადით ამსებენ და დატკეცნიან. წკნელი ეწყობა კონებათ, ერთი კონა ძირში, ორი იქით აქეთ და შემდეგ მიწით ამოამ-სებენ. თიხის მიღებს პირდაპირ იწყობენ არხში და ზევით მარტო მიწას აყრიან.

ნესტიან ადგილის გამოსაშრობათ, ჯერ საჭიროა, შამოსარები არხი გაუკეთდეს, რომ ზევით მდებარე ად-გილებიდან წამოსული წყალი შეაჩეროს; ამ არხს უნდა ექნეს სადენი ორივე კედრით უმთავრეს საწრეტ არხში, რომელიც გაყვანილია ადგილის შუაგულში. ანუ მის ყვე-ლაზე უფრო უდაბლეს ადგილში. და საწრეტ არხს სილრ-მე უნდა ექნეს არა ნაკლები ერთი არშინისა, ამ არხს უერთდება ალმაცერად 2–3 საჟ. დაშორებით ერთი ერთ-მანეთზედ დამხმარე არხები ანუ შტოები სილრმით არ-შინის 1ამ ჩარექამდე. თუ საჭიროება მოითხოვს, კიდევ გაყვათ მეორე დამხმარე არხები. ტოტები (წიწილები) არხების მიმართულების მიცემა დამოკიდებულია ადგილის მდებარეობაზე (ნახ. 5 გასაშრობი ადგილის გეგმა სა-წრეტი არხებით).

ხშირად მარტო შამოსარები არხია საქმაო, რომ ად-გილი გაშრეს, მაგრამ მიწა რომ მალე გაშრეს, ყოველ-თვის სასარგებლოა გაიჭრას სველ ადგილებში კიდევ რა-მოდენიმე ვიწრო საწრეტი არხები, რომლებიც შემდეგ, როცა ზეადაგი მალე მთლად გამოხმება და მიწა გაუმ-ჯობესდება, შეიძლება ეს არხები დაიხუროს, მიწა გას-წორდეს და ამით მეტი თავისუფლება იქნეს პლანტა-ციაზე.

დახურული, საწრეტი არხების გასაყვანად ხმარო-ბენ საგანგებო გძელ და ვიწრო ბარ-ნიჩაბს (დრენაჟის

ბარ-ნიჩაბი) რითაც მუშაობა ძრიელ ადვილდება. ამნაირ ბარ-ნიჩაბს „დრენაჟის ბარ-ნიჩაბს“ უწარჩა, განსაკუთრებით გამოსაღებია დამხმარე არხების-ტოტების გასაყვანათ, აუცილებელი საჭიროებაა, რომ ეს არხები იქნეს ვიწრო სწორი გვერდებით.



ნახ. 5 გასაშრობ ადგილის გეგმა საწრეტი არხებით.

დაუხურავ ლია არხებს პირი ფართე უნდა ექნეს და ძირი ვიწრო, კედელი კი სწორი არ უნდა ექნეს, თორემ ჩამოშვავდება.

ჩაის ბუჩქის გასხვლა.

ჩაის ბუჩქის ყოველწლივ გასხვლა ანუ გახუჭვა სა-
 კირო იმიტომ, რომ გაუსხლავი ბუჩქი უშნოდ იზრდება,
 ძალიან ყვავილდება და ბევრი ნაყოფი გამოაქვს, რის გა-
 მო ბუჩქი სუსტდება, კოლინდება, შტოები უკოჟიუდება
 და უმუხლდება, ნოიერობას კარგავს; ამასთან ფურცელი
 უწერილდება და უსკელდება (უქერქეშდება).

ჩაის ბუჩქს მიტომ ვსხლავთ, რომ მას რაც შეიძლე-
 ბა მეტი ფოთოლის გამოღების საშვალება მივსცეთ.

წესიერად გაზრდილი ბუჩქი მიწის ახლო, მიწის სი-
 სწორიდანვე ტოტებათ უნდა იყოფოდეს; მისი ტოტები
 ყოველის მხრივ თანასწორად უნდა იყოს გადგმული და
 მეტად სქელიც არ უნდა იყოს, რომ სინათლე და ჰაერი
 ადვილად ხდებოდეს ამიტომ ბუჩქებში ჩახლართული და
 ერთი ერთმანეთის დამჩრდილავი შტოები უნდა გამო-
 აკლდეს. გარდა ამისა ბევრ მუხლებიანი შტოები არ უნდა
 დავტოვოთ, რადგან ესენი იძლევიან მეტ ყვავილებს და
 ნაყოფს. ფოთოლს კი უფრო ცოტას, ვინამ სწორი შტო-
 ები.

ბუჩქის სიმაღლე $1 - 1\frac{1}{2}$ არშინზე მეტი არ უნდა
 იქნეს, რომ ფურცელი ადვილად მოიკრიფოს. კარგ ჩაის
 ბუჩქს უნდა ექნეს განიერი, სწორი და ფართე თავი, შუა-
 გული ცოტათი ჯამივით ჩაზნექილი, შტოები მიწიდან
 თანაბრად გადგმული ყოველ კედრით და ამასთან მარჯვე
 და სწორი ლეროები. ერთი სიტყვით ბუჩქის მოყვანილო-
 ბა უნდა იყოს განიერი და ძირგადგმული, რომ ბევრი
 ნორჩი ყლორტები ექნეს. ბუჩქს, რომ ამნაირი შეხედუ-
 ლობა მიეცეს, უნდა გაისხლოს ამგვარად:

პირველი ზაფხულის გასულს წვერებს მოიჩინეს
იმ ბუჩქებს, რომლებიც ზევით იწევს და გვერდზე შტო-
ებს არ იკეთებენ; ამის შემდეგ ეს ბუჩქები გაზაფხულზე
დაიწყებენ ტოტების გამოლებას.

მეორე წელს შემოდგომაზე, აღრე გაზაფხულზე ან
ზამთარში, როცა წვენთა დენა ბუჩქში შეჩერებულია, სა-
ჭიროა გაისხლას ყველა ბუჩქები: ძირს უნდა მოაკლდეს
არა ნაკლებ ერთი მესამედისა, ტოტები უნდა გაზიკრას
კვირტს ზევით მეოთხედ ვერშოკზე და ამასთან გარეთა
კვირტზე, რომ შტოებიც გარეთ გაშვებული მივიღოთ,
მაშინ ბუჩქი განზედ გაიზრდება.

მესამე წელს შემოდგომაზე, თუ ბუჩქი წესიერად
იზრდება, საჭმაოა ოდნავ შესხვლა; უნდა დამოკლდეს
ძლიერ განზე გაშვებული ტოტები; მოჭრა ტოტებს უნდა
მწვანე ნაწილების ქვემოთ. გარდა ამისა საჭიროა მოიჭ-
რას გაფუჭებული, ხმელი და საზოგადოთ ავაგმყოფი ტო-
ტები; ბუჩქს შიგნით კი ტანის ქვემოდა ნაწილში, უნდა
მოეჭრას აგრეთვე სუსტი ტოტები, რომლებიც ვერ იზრ-
დებიან და მხოლოდ ბუჩქს ასუსტებენ.

თუ ბუჩქი მიწიდან ამოსელისთანავე გაყოფილა მრა-
ვალ ტოტებათ, საჭიროა მათში ამოიჭრას უფრო სუსტე-
ბი; თუ მაელი ბუჩქი მეტად სქელია, მაშინ ის-ც უნდა
შეთხელდეს (შემეჩრდეს), მოიჭრას ძველი დამუალული
ნაცრის ფერ კანიანი და წვრილ-მაგარ პოწყებიანი ტოტები.

თუ ბუჩქი უწესოდ იზრდება. მაგალითად თხელი
(მეჩერი) ტოტები აქვს და ზევით იწევს, მაშინ ის უნდა
გაისხლას დაბლათ, მიწიდან 6—8 ვერშოკზე.

გადაქრა უნდა გარეთა კვირტის, ან ყლორტის ზე-
ვით, ახალი ტოტები რომ გარეთ დარჩეს; ტოტი უნდა
გადიჭრას სწორათ და ალმაცრივ დაქანებული შუაგულ
ბუჩქებისაკენ.

აგრეთვე საჭიროა მეტათ გასხვლა, თუ ბუჩქი შიგ-
ნით თხელია (მეჩხერია), ან მარტო ერთი მხრით იზრ-
დება; ამ შემთხვევაში უნდა გადიჭრას იმ კვირტებს ზე-
ვით, რომელნიც იმ მხრით არიან, საითკენაც ჩვენ გვინ-
და გამოვიწვიოთ ტოტების ზრდა.

ძრიელ გასხლულ ბუჩქს მთელი წლის განმავლობაში
ხელი არ უნდა ვახლოდ, მხოლოდ შემდეგში, თუ ის გა-
ლონიერდა და კარგად გაიზარდა, ცოტათი უნდა შეს-
წორდეს.


საზოგადოთ მეოთხე წელიწადს ბუჩქს უნდა ექნეს
საჭირო თავისი სახე (ფორმა) და მეხუთე წლიდან იწყება
ფურცლის ზრდის გასაძლიერებლად. ამ გასხვლის მიზანი
იმაშია, რომ რამდენიმე ტოტების მოჭრით, გამოვიწვი-
ოთ გამოსხლა ბევრი და მძლავრი ახალი ყლორტებისა,
რომელნიც გამოდგებიან დასაკრეფით და ჩაის გასაკე-
თებლათ.

რომ ამნაირმა გასხვლამ ბუჩქს არ ავნოს, ეს უნდა
მოხდეს ზრდის დათავების შემდეგ, ესე იგი შემოდგომაზე
(გიორგობისთვეში) ან ზამთრის ბოლოს, სანამ ახალი ზრდა
დაიწყებოდეს (თებერვალში). თუ დიდი თოვლი და ყინ-
ვები არ არის, მაშინ შეიძლება ზამთარშიც გაისხლას.

გასხვლა ნორჩი ყლორტების მისაღებად მდგომარე-
ობს იმში, რომ თითქმის ნახევრად უნდა დამოკლდეს
უკანასკნელ ზაფხულში გაზრდილი ყლორტები; საჭიროა
პოვაშოროთ ყლორტებს მწვანე ბოლოები — მოვჭრათ მწვა-
ნე ნაწილის ქვეშ ყლორტის წითელი ნაწილი კვირტის
ზევით ზეოთხედ ვერშოკნე.

თუ გვინდა, რომ ბუჩქს მივსცეთ უფრო ჭანიერი ფორმა—მოყვანილობა, შუაში მოკლედ უნდა გავსხლათ, გვერდზე კი პირველი ფურცლის ზევით ყლორტების მწვანე წვერების ქვეშ. გარდა ამისა საჭიროა მოვაჭრათ გამხარი და მეტად დაღრეკილი ტოტები და თუ საჭიროა, კიდევაც უნდა შევათხელოთ (შევამეჩეროთ) მთელი ბუჩქი.

მეტად სასარგებლოა, რომ ბუჩქს თესლები მოშორდეს, რის შემდეგ ბუჩქი მეტი ფურცელს მოგვცემს.



ნახ. 6. ბალის მაკრატელი და დანები.

მოკლედ რომ გავიშეოროთ ფურცლის ზრდის გასაძლიერებლად გასხვლის წესები გამოიხატება შემდეგ მუშაობაში: ყოველ წლიური გასხვლა უნდა მოხოეს შემოდგომაზე ან ზამთარში, როცა წვენთადენა ბუჩქებში შეჩერებულია. სასხლავ იარაღათ ხმარობენ ჩვეულებრივ ბალის მაკრატელს, ან მსხვილ ბალის დანას (ნახ. 6) ბალის მაკრატელი და დანები.

ყველაზე უწინ ყლორტს უნდა მოვაშოროთ მწვანე ნაწილი, რომელიც დარჩა უკანასკნელი ფურცლის დაკრეფის შემდეგ და მიეკრას წითელ კანამდე. ე. ი. გახევებულ ნაწილამდე. შემდეგ უნდა შეთხელდეს (შემეჩხრდეს) სქელი ადგილები, ამოიჭრას ის ტოტები, რომელნიც ერთმანეთს ზრდას უშლიან და ბუჩქში სინათლეს არ უშვებენ. უნდა ამოიჭრას აგრეთვე ხმელი, სუსტი, ავადმყოფი, დაშავებული და მეტად ნაყოფიერი შტოები. გვერდის შტოების დამოკლების ღროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ კვირტების მდებარეობას, რომლის ზემოთაც ტოტები იჭრება, ასე რომ ზევითი კვირტი უნდა იყოს ბუჩქის გარეთ და არა შიგნით. გადაჭრა უნდა სუფთად, მახვილი დანით. გასხვლის შემდეგ საჭიროა ბუჩქის ირგვლივ შემოიბაროს, შემდეგ ერთიანად ღრმად დაიბაროს მთელი ბალი. ჩაის ბუჩქის ნასხლავი კარგი იქნება, რომ მოგროვდეს, დაიწვას და ნაცარი პლანტაციას მოეყაროს.

მოკლედ გასხვლა. — ახალი ყლორტების მისაღებად ყოველ წლივ სჭრიან ერთი წლის ყლორტის ნაწილს, ამის გამო ყოველ წლის განმავლობაში მეტად იმუხლება (იკვიულება), ბევრ ყვავილს და თესლს იძლევა, ფურცელს კი ცოტას. ამ შემთხვევაში საჭიროა ტოტების ყველა განასხლავის ქვეშა ნაწილები მოიჭრას.

ამნაირი მოკლედ გასხვლა უნდა მეტად ფაქიზათ, გადანაკერი აღმაცრივ და სუფთა წათლილი უნდა იყოს; კარგია მონაკერს წაუსვათ თაფლის სანთელი, მაღამო ან საქონლის ახალი ნეხვი.

მოკლე გასხვლა მეორდება ყოველ 5—6 წელიწადში და თუ ბუჩქი სუსტია. 3—4 წლის განმავლობაში.

გაახლება. — როცა ბუჩქის ტანის და ტოტების ქედა
 ნაწილები მეტად დაიმუხლებიან (დაიკოურებიან) და ზრდას
 ცუდათ მატულობენ, მაშინ ბუჩქს ძირში, მიწის სისწო-
 რეზე, გადახერხავენ, განახერხეს ასწორებენ მახვილი და-
 ნით და მალამოს წაუსვამენ. შემდეგ ამისა ბუჩქები კა-
 გად უნდა შემოიბაროს და სასუქი შიეცეს.

საზოგადოთ ჩაის ბუჩქს აახლებენ პირველი ფურც-
 ლის დაკრეფიდან 10—15 წლის შემდეგ. ეს შეიძლება
 განმეორდეს რამოდენიმეჯერ, აი მაგალითად ჩინეთში და
 იაპონიაში ხშირად შეხვდებით ბუჩქს რამოდენიმე საუ-
 კუნისა (700 წლამდე). ბუჩქის მოკლედ გასხვლა და გაახ-
 ლებაც არ უნდა მოხდეს ყინვების დროს.

სათესლე ბუჩქის გასხვლა. ბუჩქები რომლიდანაც
 თესლი გვინდა მივიღოთ, სხვანაირად უნდა გაისხლას.
 სათესლედ არჩევენ საუკეთესო ბუჩქს და ზრდიან სიმაღ-
 ლით 2—2½, არშინამდე. გამოსჭრიან მათში მარტო ხმელ
 და ავადყოფ ტოტებს, ან რომელიც ძალიან სქლად არის;
 დანარჩენ ტოტებს მარტო წვერს გადაუკვეცენ, ან სულ
 ხელს არ ახლებენ, ამ ბუჩქიდან ფურცელს არ კრეფენ.

სასხლავი დანა და მაკრატელი უსათუოდ უნდა იყოს
 ყოველთვის ძლიერ მახვილი და ამასთან მაკრატლის მარ-
 ჭვალი მაგრად მოჭერილი, რომ შტოები კარგად გადაჭ-
 როს და არ დაბეჭოს.

ჩაის ბუჩქის გავრცელები

ჩაის ბუჩქს, როგორც საზოგადოთ ყველა მცენარეს,
 ყავს თავის მავნებლები, მათ შორის ჯერჯერობით ცნო-
 ბილია შემდეგი:

სოკო—Pestalozzia Guepini Desmaz ითვლება ერთ
 საშიშარ მავნე პარაზიტათ კაშარის ჩაის რაიონში (ინ-

დოეთშია), აქ ჩვენ დასავლეთ საქართველოში ეს მავნე სოკო შენიშვნულია 1897 წლიდან. ეს სოკო ჩაის ფურცელზე :ჩენს მორგვალო ან უსწორმასწორ ნაცრის-ფერ ლაქებს, რომლებიც ხშირად ფურცლის მომეტებულ ნაჭილს იქნას. რის გამო ფურცელი ხშება და კვტება.

ამ ლაქების ადგილზე ფურცლის კანი სქდება პატირ-პატარა სამკუთხედ ნაპრალებათ, რომლებიდან ამოდიან შავი ბუსუსები, რის გამო ფურცლის ზედაპირი მთლად იბურცება; ეს ამობურცული ადგილები არის სოკოს თესლი (სპორები).

ამ სოკოს თვისებაა, რომ ის ცხოვრობს არა მარტო ჩაის, არამედ ბევრ სხვა მუდამ მწვანეთ შემოსილ მცენარეებზეც, მაგალითად კამელიაზე, მაგნოლიაზე, შქერზე, ლიმონზე და ნუშის ხეზე- ამნაირად ამ ზემოჩამოთვლილ მცენარეებს შეუძლიათ ერთიერთმანეთს გადაადონ ეს სენი. ამიტომ სასურველია, რომ ამისთანა მცენარეები არ იქნეს მეზობლათ ჩაის პლანტაციასთან, ნამეტურ მაშინ, თუ ისენი ამ სოკოთი დაავადებულია.

ამ სოკოს მოსპობის საშვალებაა: დაავადებული ფურცლების მოგროვება და დაწვა და $2^{\text{o}}/\text{m}^2$ -იანი ბორდოს სითხეთი შესხურება, იმნაირი შემადგენლობისა, როგორც ვენახისათვის ობის (ჭრაქის) წინააღმდეგ. სხურება უნდა ჩაის ფურცლის დაკრეფამდე და დაკრეფის შემდეგ.

ტკიპა ანუ კუჯლიბა *Tetranychus* ის გვარისაა. ეს მწერი ძრიელ პატარაა, მაგრამ მეტად სასაშიშროა, რაღაც ის ჩაის ბუჩქს ესევა დიდის სიმრავლით. ტკიპა თავისი ვნებით იწვევს პატარა რუხლაქებს, რომელნიც



დაბოლოს ერთდებიან ისე, რომ ფურცელი ერთიანად
იღებს ბრინჯაოს ფერს. ტკიპა თავსდება ჩვეულებრივ
ბუჩქის ქვედა ნაწილში. უმაღლ უფრო ძველ ფურცელზე
რომელსაც ერთიანად გადაეკვრის ნაცრისფრად, შემდეგ
როცა მწერი მეტად მრავლდება ცოტ-ცოტანი ამოდიან
ზევითა ყლორტებამდე და აჭირიანებენ მთელ ბუჩქს. ეს
ხდება განსაკუთრებით ცხელ, მშრალ დარში, რადგან
ამისთანა ამინდში ტკიპა უფრო მრავლდება; წვიმიან
და ნესტიან დარებში ავათმყოფობა შეჩერდება, ვინაი-
დან სინესტე ტკიპას კლავს და სულ ანადგურებს.

ტკიპის საწინააღმდეგო საშვალებათ ხმარობენ: ნავ-
თის ემულსიას (1 ნაწილი ნავთი, 2 ნაწილი მწვანე სა-
პონი და 10 ნაწილი წყალი) და აგრეთვე 1%-იანი კარ-
ბოლის სიმეურეს მწვანე საპონის 10%-იან ხსნილში. ამ
სითხეთი ასხურებენ ბუჩქებს ფურცლის პირველი და-
კრეფის შემდეგ.

ბუქლუნდი—*Lecanium* და მისი თანამგზავრი სო-
კო *Meliosa peznigi* Sacc. ამ სოკოს მოაქვს ის ვნება,
რომ მთელ ფურცელს ერთბაშად გადაეკვრის მური (ჭვა-
რტლი) ფენათ. ჩაის ბუჩქის გარდა ეს სოკო ეტანება
სხვა მუდამ მწვანე მცენარეებსაც, როგორც კულტურულს
(ნარინჯოვანი, კამელია), ისე ველურსაც (წყავი, ბაძგა-
რი და სხვა). ამის საწინააღმდეგო საშვალებებია: ნავ-
თის ემულსია, მწვანე საპონის ხსნილი და ბორდოს სით-
ხე; ერთი და ერთი ამ წამლებისა უნდა შეესხუროს და-
ავადებულ ჩაის ნარგავებს ფურცლის დაკრეფამდე ან
დაკრეფის შემდეგ.

ჩაის ჩრჩილი—*Peremetriotes thae* (Elachista);
ამ ჩრჩილის მატლები სჭამენ და აფუჭებენ ჩაის ნორჩ
ყლორტებს და ფურცელს; ამ მწერის საწინააღმდეგო



ზომათ ითვლება გამოჭრა და დაწვა ყველა გაფუჭებული ყლორტებისა, აგრეთვე იმ ფურცლებისა, რომლის ქსოვილებში ჩრჩილის კვერცხები იზამორებს.

ახალ ამოსულ ჩაის ნარგავებს ხშირად აფუჭებს და ლიდ ზარალს აძლევს მეურნეობაში ცნობილი მწერი მახრა (მჭრელი, ბოსტანა), ამის საწინააღმდეგოთ ხმარობენ დარიშხანით მოწამლულ სიმინდს, ეს წამალი მზადდება ასე: ერთ ვედრო წყალში უნდა გაიხსნას ერთი გირვანქა თეთრი დარიშხანა (თაგვის შაქარი), ჩაიყაროს შიგ სიმინდი, იდულოს ცეცხლზე მანამ, სანამ სიმინდი კარგად არ გაიუღინოთ საწამლავით. მერე უნდა ამოილოთ მოშხამული სიმინდი, გააშროთ მოაპნიოთ იმ ადგილზე, საცა ეს მავნებელია და მიწა მიაფაროთ. მახრა მოწამლულ მარცვლებს დაესევა, მოიწამლება და სულ ყველა დაიხოცება.

ჩაის ფურცლის დაკრეზა

ჩაის ბუქეს იმიტომ აშენებენ, რომ იმის ნორჩი ყლორტების ფურცლებიდანჩაის აკეთებენ. ლონიერ და კარგ ნახარებ ბუქებიდან შეიძლება ფურცელი მესამე-მეოთხე წელიწადს დაიკრიფოს, მაგრამ საზოგადოთ, მოსავალს აგროვებენ შეხუთე წლიდან.

ჩაი კეთდება ნორჩი ყლორტების წვეროებიდან დუყიდან; დუყს შეადგენს ნორჩი წვნიანი მწვანე ყლორტი ზევითა კვირტებით, რომლებიც შემოსილია ვერცხლის ფერი ქინქლებით (ბუსუსები) და 3—4 ნორჩი ფურცლებით. ამნაირი ნორჩი ყლორტებიდან მზადდება ჩაი, მას ქვია სახელათ „ფლეში“ ანუ შემოსავლიანი, სარგებლიანი ფურცელი (შემოსავლიანი ყლორტები).

პირველი გაზაფხულის ჩაის კრეფა იწყება მაშინ, როცა ყლორტებს აქვს 5-6 ფურცელი; ამ დროს ქვედა

ფურცლები სქელდებიან, ტყავიერით იქცევიან. აჩვენათ მათ განვითარების ზედა ნაწილებს 2-3, ხან კი 4 ფურცლით და სტოვებენ არა ნაკლებ 2-3 ქვედა ფურცლებისა ბუჩქის დასამთავრებლათ; ამ ფურცლების ღლიაში მდებარე კვირტებიდან გამოდიან და იზრდებიან ახალი ყლორტები, რომლებიც იძლევიან შემდეგ მოსავალს. თუ ყველა 5-6 ფურცელი დავკრიფეთ, მაშინ ნორჩი, ახალგაზრდა ბუჩქი ძალიან სუსტდება და შემდეგში ცოტა მოსავალის ძლევას იწყებს. რაც მეტი ნაწილი ყლორტებისა რჩება ბუჩქზე, მით ის ნაკლებათ სუსტდება, კარგად იზრდება და შემდევისათვის კარგ მოსავალს იძლევა.

თუ ბუჩქი ღარიბად იზრდება, მაშინ მესამე ფურცელი მალე უმაგრდება და ანაირ ბუჩქებიდან შეიძლება დაიკრიფოს ყლორტების წეროები შარტო 2 ფურცლით; დაუმთავრებელი ყლორტები ისევ ბუჩქებზე რჩება იმათ კრეფენ, როცა საკმაოთ გაიზრდებიან.

პირველი დაკრეფის შემდევ ბუჩქზე ამიღდის ახალი ყლორტები იმ კვირტებიდან, რომელიც დატოვებული ფურცლის ღლიაში იყო; ეს ყლორტები იძლევიან ჩაის მეორე მოსავალს. ჩაის ფურცელი იკრიფება წელიწადში 3 ჯერხშირად 4ჯერაც;

პირველი დაახლოვებით პრილის დამლევს ან მაისის დამდევს, მეორე ივანობისათვის გასულს და მესამე ივლისში ან აგვისტოში. ეს არის უმთავრესი როველი; ამდენჯერმე კიდევ დაუკლიან დასაკრეფათ ხელმეორედ და ამას ქვია. შემოვლა; ეს არის პატარა როველი. ამნაირად წელიწადში შეიძლება ჩაი დაიკრიფოს 6 ჯერ



და თუ თბილი შემოდგომაა 8 ჯერაც. უმჯობესია უნდა მოხდეს კრეფა რომ მოხდეს განსაზღრულ დროის განმავლობაში, მაგალითად ყოველ ორი კვირის შემდეგ. დაკრეფის ნამდვილი დროს განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ეს დამოკიდებულია ამინდზე.

თუ ცივი და ხველი ამინდებია ზრდა გვიანდება, თანაბრად არ მიდის და ამიტომ კრეფა ორჯერ ხდება: პირველად კრეფენ კარგად გაზრდილ და დასრულებულ დუყებს და ერთი ან ორი კვირის შემდეგ, როცა დატოვებული დუყები წამოიზრდებიან.

მეტად მაგარი და გაქერქეშებული ფურცელი არ უნდა დაიკრიფოს. ყველაზე კარგი და ძვირფასი ჩაი კეთდება ყლორტის ზედა ფურცლებიდან და კვირტებიდან, მაგრამ თუ მარტო ესენი დაიკრიფა, მაშინ მოსავალი ძლიერ ცოტა იქნება.

ნორჩი ფურცელი ქუფრია, მოწითალო ელფერი გადაკრავს, ან ბრწყინავი მწვანე, მოელვარე ზედაპირით; როცა ფურცელი რბილი და ნაზია, მაშინ კარგია მოსაკრეფათ: მოუხეშავი, მაგარი და ქერქეში ფურცლები ჩაის გასაკეთებლად არ ვარგა, თუ გინდ ისინი წვრილ-წვრილიც იქნეს.

მკრეფავი ჩაის დუყს ხელით ტეხს ისე, როგორც ეკალა მხალს, დუყი თუ ადვილად იტეხება, ეს იმის ნიშანია, რომ ის შემოსულია და ჩაის გასაკეთებლად ვარგისია.

ჩაი უნდა დაიკრიფოს წყნარ ამინდში. მკრეფავმა კარგად უნდა იცოდეს რბილი და ნაზი ფურცლის გარჩევა ქერქეში ფურცლისაგან და ამასთან გამოცნობა შემოსული და დასრულებული ყლორტებისა და რომელი უნდა დატოვონ მეორე გადახილვამდი.

ჩაის ფურცელი ძალიან ადვილათ ითვისებს ჭოკელ-ნაირ გარეშე სუნს და ამისთვის დაკრეფის და დამუშავების დროს აუცილებლად საჭიროა დაიცოთ სისუფთავე. საჭიროა ამასთან თვალყურის გდება, რომ მკრეფავებს და ჩაის მაკეთებლებს ექნეს სუფთად დაბანილი ხელები და ზედ არავითარი სუნი არ ქონდეს.

ჩაის საკრეფათ საჭიროა კალათები; კალათები იმ ზომის უნდა იყოს, რომ მკრეფავს ადვილად შეეძლოს ატაროს კრეფის დროს. კალათებიდან ჩაის ფურცელს გოდორში ყრიან; როცა გოდორი გაიღსება, გადააჭვთ სუფთა და გრილ სადგომში და იქ აგროვებენ.

დაკრეფილი ფურცელი მის დამუშავებამდე, ან ფაბრიკაზე გასაყიდათ გაგზანამდე, უნდა გაიყაროს სადმე გრილ და სუფთა ადგილზე თხლად, არა უმეტეს $1\frac{1}{2}$ ვერშოკისა სისქით. დრო გამოშვებით ფურცელი უნდა აერიოს, რომ არ შეხურდეს. სქლად შექუჩებული ფურცელი მალე ფუჭდება, ხურდება; ძრიელ შეხურებული ფურცელი ითვისებს უსიამოვნო აშმორებულ სუნს და ამასთან ფერიც ჯერ უწიოთლდება და შემდეგ შავდება; ამნაირად წამხდარი ფურცელი დასამუშავებლათ ალარ ვარგა.

ერთი დღის ნაკრეფი ფურცელი არასგზით არ უნდა შეერიოს მეორე დღის ნაკრეფს, ვინაიდგან ამნაირად შერეულ ფურცლისაგან შეუძლებელია გაკეთდეს კარგიჩა.

დაკრეფილი ჩაის ფურცელი 24 საათის განმავლობაში ლრება (ჭკნება) და უკვე მზად არის დისამუშავებლად, ამისთვის დიდ ხანს არ უნდა გავაჩეროდ და თუ ჩაის საკეთებელი ფაბრიკა 4-5 საათის სავალზეა, ესე იგი 15-20 ვერსზე, უმჯობესია იმავე დღეს მივიტანოთ იქ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაი შინ უნდა გაკეთდეს.



ერთი დესიატინა ჩაის პლანტაცია იძლევა 2500-3500 გირ. ნედლ ფურცელს, რომლიდანაც გამოდის 600-800 გირ. გამხმარი ჩაის.

ჩაის პლანტაცია, თუ შესაფერ ადგილზეა გაშენებული, კარგი მოვლილი და გაპატივებულია, ამაზე მეტი მოსავლის მოცემაც შეუძლია, თითქმის 7-10 ჯერ მეტი; ამას ნათლად გვიმტკიცებს შორეულ აღმოსავლეთის აქ მოყვანილი ჩაის ნედლი ფურცელის მოსავლის ცხრილი:

ჩაის ნედლი ფურცელის საშვალო მოსავალი ერთ დესიატინაზე გირვანქობით.
--

საჭართველო	ინდოეთი	ცენტონი	იავა	იაპონია
3.084	8.884	9.844	12.725	19.689

იაპონიაში უმეტეს შემთხვევაში ჩაის პლანტაცია მთლიან ნარგავს არ წარმოადგენს, ის არის შერეული და გაშენებულია მინდვრის ნათესებში სრელებათ (ბარ-დიურად); სრელებში ძალიან სკლად ერთი ერთმანეთზეა მიღებული ჩაის ბუჩქები, რომელიც მწვანე ზოლებათ არის მინდორზე გადაჭიმული. ამ სრელებს ბარავენ 3-4 ვერშ. სილრმეზე, აპატივებენ, ხშირად თოხნიან სარეველა ბალახის მოსასპობათ და საერთოდ წესიერად და კარგად უვლიან და ამიტომ ღებულობენ ასე დიდ მოსავალს 20/ათას და ხან მეტსაც დესიატინაზე.

ჩაის ფურცელის დამუშავება.

მის შემდეგ, რაც ჩვენში ჩაის ფაბრიკები კეთდება, რომელთა რიცხვი, ჩაის პლანტაციების გავრცელებისთა-

ნავე, თანდათან მატულობს, ჩაის ფურცლის დამზადება შინამრეწველობის წესით საჭირო აღარ არის და სამრეწველო მიზნით, ჩაის ამ წესით დამზადება ყოვლად დაუშვებელია.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქ მოგვყავს შინამრეწველობის წესით ჩაის დამზადება, ერთი როგორც ისტორიული მასალა ჩაის კულტურის მსვლელობისა ჩვენში და მეორე შეაძლება რომელიმე პლანტატორმა, რომელზეც ჩაის ფაბრიკა ძრიელ დაშორებულია, ან შეიძლება თავის ოჯახის საჭიროებისათვის მოისურვოს ჩაის გაქმონება, ამ შემთხვევაში აქ მოყვანილი ცნობები მისთვის გამოსადევი იქნება.


შინამრეწველობის წესით ყველა მეურნეს შეუძლია თავისით გააკეთოს ჩაი თავის ოჯახში, ყველა ამზადებს ჩაის თავის გემოზე, ასე გაკეთებული ჩაი ერთი ხარისხის არ გამოდის, ის ერთნაირ საქონელს ბაზრისთვის არ წარმოადგენს და ამიტომ ძრიელ ნაკლებ ფასათაც იყიდება,

შინამრეწველობის წესით ჩაის დამუშავება მეტად გავრცელებულია ჩინეთში, ყველა მეურნე თავისათვის ოჯახში ამზადებს ჩაის.

ჩაის გასაკეთებლად საჭიროა ფურცლის დაღრობა (დაკვნობა), მოთელვა (დასორსვლა, დაგორგალება, დაგორება), დადულება (დამუშება), გახმობა და გადარჩევა (დახარისხებზე).

ფურცლის დაღრობა ანუ დაჭინობა. მოკრეფილ ფურცელს გაყრიან თხლად თაროებზე, რომელზედაც არის გაშლილი ჭილოფები ან ტილო გაკრული (ნახ. 7 ფურცლის საღრობი თაროები).

დასალრობი ფურცელი თუ თხლად არის დაყრილი, მაშინ ნორჩი ყლორტები აღრე ლრება და სხვა ფურცლის დაღრობამდე ხმება და ფუჭდება; როცა სკლად არის გაყრილი, მაშინ გვიან ლრება, თუმცა ამით კი ფურცელი არ ფუჭდება.



ნახ. 7 ფურცლის საღრობი თაროები.

დაუმლრალი, დაუმჭკნარი ფურცელი მოთელვის დროს ტყდება, იფშვნება და ჩაიში შედის ბევრი წვრილ-მანობა (ნაგავი); ძალზე გადამლრალი ფურცელი ცუდი სუნის (არომატის) ჩაის იძლევა. ორივე შემთხვევაში ჩაის ფასი ეცემა.

ის ადგილი, სადაც ჩაი ლრება, უნდა იყოს დაჩრდილული და ქარისაგან დაცული, რომ ქარმა დაჭკნამდე ფურცელი არ გაახმოს. აქ ჩაი რჩება ერთი დღე

და ლამე; ნორმალურ პირობებში ფურცელი ღრუჟიანებული კენება 18-20 საათის განმავლობაში; 5 გირ. ჩაის ფურცელის დასალრობათ საჭიროა 100 ოთხ კუთხი არშინი არე.

როცა ფურცელი და მისი ყუნწი გადაწევით არ ტყდება და თასმასავით გადამყოლია, ეს იმის ნიშანია, რომ ის საკმაოდ დამლრალია (დამჭერია). კიდევ თუ გვინდა გავიგოთ, ჩაი ზომიერად დამლრალია თუ არა, უნდა ავილოთ ხელში ბლომად, მოუჭიროთ ლონივრად ხელი, თუ ფურცელს ტკაცუნი არ გააქვს ან როცა ხელს გავშლით, ფურცელი არ გაიშლება ცალ-ცალკე, არამედ გუნდათ, შეკუმშულათ, ხელის გულზე რჩება, მაშინ ჩაის ფურცელი საკმაოდ დამჭერია და მეტი ლრობა არ არგებს. ფურცელი დალრობით წონაში კლებულობს 20-30%. ამნაირად ჩრდილში ფურცელს ინდოეთში აღრობენ, ჩინეთში კი მზეზე და მაშვინ დასალრობათ ძალიან ნაკლები დრო უნდა.

ფურცლის მოთელვა - ამ რიგად დამლრალი ფურცელი უნდა მოითელოს (დაიკორგლოს, დაისორსლოს) ისე, რომ არც ერთი ფურცელი გაშლილი არ უნდა დარჩეს; ამასთანავე იმდენი წვენი უნდა გამოუვიდეს ფურცლებს, რომ ისინი ძლიერ დასველდეს. ჩაის ფურცელი თუ ცოტა არის, პირდაპირ ხელით ელლემენ, თელავენ გრძელ მაგიდაზე, თუ ბლომათ არის, მაშინ ფურცელს ყრიან ნარმის ტომარში, მოუკრავენ მუთაქასავით თავბოლოს და მუშა სუფთად დაბანილი ფეხებით აგორებს ამ მუთაქა-ტომარს ჭილოფზე (ნახ. 8. ფეხით ფურცლის მოთელვა ტომარში), რომელიც დაფენილია ოთაში იატაქზე. მოთელვის დროს საჭიროა, რომ 2-3 ხელ გა-

შალოს ტომარი, გადაიხილოს და აიკეკოს, რომ შული ფურცლები არ დარჩეს და ისევ ხელახლა ჩაიყაროს ტომარში. გორება უნდა მანამდის, სანამ ყველა ფურცელი არ დაისორსლება, დაგორდება და თავისივე წვენში არ დასველდება.



ნახ. 8. ფეხ თ ფურცლის მოთელვა ტომარაში.

ეხლა ზოგიერთ ადგილზე ფურცლის სათელავათ შემოღებულია ხელით სამუშაო საგორავი ხის მანქანა, რომელსაც აკეთებენ ადგილობრივ. ერთ ჯერად საათში შეიძლება მოითელოს ხელით 3-4, ფეხით 7-8, საგორავით 40-50 და მანქანით 80-200 გირვანქა ჩაის ფურცელი (ნახ. 9 ფურცლის მოთელვა ხელით და საგორავით), მოთელილ ჩაის ჰყურიან დიდ გობზე (თაბახზე), ვარცხლ-

ში ან ხის ყუთებში სისქიო არა უმეტეს ვ გოჯისაფრდითაურ
აფარებენ სველ ტილოს და სტოვებენ ამ გვარად 7-8
საათს; აქ ჩაი დუღს, შუშდება.



ნახ. 9. ა) ფურცლის მოთელვა საგორავზე, ბ) ჩაის სახმობი
ღუმელი, გ) ხელით ფურცლის მოთელვა.

ამ დროის განმავლობაში დაუანგების გამო ხლო-
როფილი—ფურცლის მწვანე ნივთიერება—იშლება, ჩაის
ფურცელი ჰკარგავს თავის მწვანე ფერს, და იღებს ანუ
სპილენძის ანუ ეანგის ფერს—ჩაის ჩვეულებრივ ფერს.

დუღილის წესიერი მსვლელობისათვის საჭირო პი-
რობებია, კარგად დამჭერარი და მოთელილი ფურცელი,

საქმაო წმინდა ჰერი და საღულებელი ფურცლის  სისოვლე.

ჩაის დუღილი რთული პროცესია, ჯერ კიდევ კარგად გამოკვლეული არ არის, მხოლოდ ეს კია შეტყობილი, რომ დუღილის საფუძველია არა მიქრობიოლოგიური, არამედ წმინდა ქიმიური პროცესი, საცა მონაწილეობას იღებს ფერმენტი „ზიზიმი“; მისი მოქმედება იწყება ადრე ფურცლის დაღრიბის და მოთელვის დროს. უმთავრესი როლი ჩაის დუღილში ეკუთნის განსაკუთრებულ ზიზიმს, რომელსაც „ტეაზო“ ჰქვია.

დუღილის დროს საუკეთესო ტემპერატურაა 25-26°C, ტეაზოს მეტი მოქმედებისა, რომელიც ტემპერატურის 40-50°C. აღარ მოქმედობს. დუღილის შეჩერებისთვის საჭიროა ფურცლის არევა, შეთხელება და რაც შეიძლება მალე გახმობის დაწყება, რომლის მიზანია შეაჩეროს დუღილის განვითარების პროცესი.

ჩაის გახმობა. საქმაოდ დადუღებული ჩაი საჩქაროთ მზეზე გააქვთ, ყრიან თხლად ჭილოფზე ან ტილოზე, რომელიც ხის ჩარჩოებზეა გაკრული. მზეზე ჩაი ხმება 2-3 დღეს.

თუმცა ჩაი ამ დროის განმავლობაში შეხედულობით საქმაოდ გამხმარია, მაგრამ სახმარათ, სასმელად ჯერ ის არ ვარგა, რადგან გემო მომწარო აქვს და სუნიც უსიამოვნო, ნედლი ბალახისა. ჩაი ხელმეორედ ცეცხლზე უნდა გახმეს.

ჩაის ცეცხლზე ბევრნაირად ახმობენ: აქვთ ვაკეთებული სხვადასხვანაირი ღუმელები, რკინის ფეჩები და ზედ სახმობად ტაშტები მოწყობილი.

უველაზე უფრო უბრალოდ და ადვილად ჩინელები ახმობენ და ი როგორ: ისინი ხმარობენ ერთგვარ კალა-



თებს, ეს კალათები დაწნულია მილის გვარად, ორივე
მხრივ თავლია, შვაში კი ცოტა მოვიწროებული, აფასირებულია
მით წააგავს როდინს (ფილს).

ამ ჩაის სახმობ იარაღს ჰქვია „პუილუნგი“. პუილუნ-
გის ვიწრო წელში სდგამენ დაწნულ თაბახს, ლასტს, ან სა-
ნისბადეს, რომელზედაც ჰყრიან გასახმობ ჩაის. ეს კალათი
შეიძლება გაკეთდეს უესტისაგან და უფრო ადვილი მო-
სახმარიც არის. პუილუნგს სიგდე აქვს $1\frac{1}{4}$ და განი $\frac{3}{4}$ არ
შინი.


ჩინეთში კალათს სდგამენ ორმოზე, რომელიც სავ-
სეა გალვივებული ხის ნახშირით. გურიაში კი კალათის
ქვეშ სდგამენ დიდ ქვის კეცს, კეცზე ჰყრიან ნაკვერჩ-
ხალს.

ამ დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ ჩაი არ
დაიწვას და ზომიერად გახმეს.

ვისაც ცოტა ჩაი აქვს გასახმობი, შეიძლება პირ-
დაპირ ქვის კეცზე გაახმოს; ამისთვის კმარა კეცის ის
სიმხურვალე, რომელიც რჩება მჭადის გამოცხობის შემ-
დეგ. კეციდან მჭადის აღების შემდეგ, კეცზე აფენენ
სუფთა ქალალს, დააყრიან ზედ გასახმობ ჩაის, დაად-
გამენ ზევით ისევ იმ უესტს თავის ნალვერდალით, რო-
მელიც მჭადზე იყო და სტოვებენ ასე, კეცის გაცივ-
ბამდე; შემდეგ გადმოიღებენ ჩაის, რომელიც უკვე გამ-
ხმარია და მზად არის სახმარებლად. პუილუნგზე ჩაის
სახმობი ტემპერატურაა $75-80^{\circ}$ ც. და საათში ხმება 3
გირვანქა.

ბევრ ადგილს ჩაის სახმობათ შემოლებულია იმნაი-
რი ღუმელები (ფეჩები), როგორც ხილის სახმობია, ამ-
ნიირი ღუმელი ასე კეთდება:

ცეცხლის სანთები კერა კეთდება აგურისაგან უფრო
თივით, რომელსაც აქვს სიმაღლე $1\frac{1}{4}$ და განი 1 ან 1¹
არშინი. ზევით დაგმება ხის ყუთი იმავე ზომისა მოვალეობა
წროებული თავით ჰაერის მოძრაობისათვის, ყუთის წინა
კედელში (ნახ. 10 ჩაის სახმობი ღუმელი (ფერი),) არის
გაკეთებული სინის რცხილებიანი უჯრები.



ნახ. 10. ჩაის სახმობი ღუმელი (ფერი).

სათბობ მასალათ ხმარობენ ხის ნახშირს მანგალზე
გალვივებულს, ან შეშას, ამ შემთხვევაში კერას და ყუთს
შვა დატანებულია უქსტის ფურცელი და კვამლის გასა-
ვალათ გვერდზე ცალკე მილია გაკეთებული.



ჩაი თუ ცეცხლში ჩაცვინდა, იწვევს კვამლს, კვამლი
კი ჩაის აფუჭებს, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამჟამინდობა
შემთხვევები თავიდან ივიცილოთ.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამნაირ ღუმელებს
აქვს ბევრი ნაკლულოვანება: კვამლი კარგად არ ადის,
ჩაი თანაბრად ვერ ხმება, იხრაკება, კვამლი და ცეცხლის
გაჩენის (ხანძარი) სიხშირე და სხვ.

ეხლა გაუმჯობესებული ლითონის სახმობების შე-
მოლებით ეს ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლულოვანებები სულ
ყველა თავიდან აცილებულია. ამ სახმობის კვამლსადე-
ნში გატარებულია მილები, რომლითაც გაცხელებული
ჰაერი შედის კამერაში და გაივლის რა ჩაიან რცხილებს,
გამოდის გარეთ მილით და ჰაერის საწმენდით (ვენტი-
ლიატორი). ტემპერატურა და კვამლისდენა წესრიგდება
სარქველებით.

გასახმობი ჩაი უნდა იყოს დაყრილი ცხრილებზე
თანაბრად 1—2 სანტ. სისქით; ტემპერატურა ხმობის
დროს დგას. 95 ც. და ჩამოდის ხმობის დათავებისას 93 ც.. ზე. ყველაზე უფრო ცნობილია ჩაის ლითონის
სახმობები სირკეებს, ჯეკსონის და ბროუნის სისტემისა.

ჩაის ხმობის დროსაც სწარმოებს ქიმიური პროცე-
სი: ტეინის ანგიდრედების წარმოშობა გასახსნელ ნივთი-
ერების დაკლება და ნაწილობრივ დაუანგვა და მქრო-
ლავი ნივთიერების აორთქლება. ამის დაკვალად ხმობა
წარმოადგენს სერიოზულ საქმეს. და მას უნდა მეტი ყუ-
რადლებით მოპყრობა. ხმობის დროს საჭიროა ზომიერი
სითბო-სიცხის ხელის შეწყობა, ხმობის თანასწორობა და
კვამლის აშორება.

კარგად გამხმარი თუ არის ჩაი, ხელის შეხებით შე-
ეტყობა: ჩაის თითებს რომ მოუჭერ, თუ ადვილად ტყდე-

ბა და ამასთან ტკაცანს გაადენს, ეს იმის ნიშანია, რომ
ჩაი „გამწყვარია“, გახმობა დათავებულია და მზად არის
სახმარებლად. კარგად გამხმარ ჩაის შავი ფერი აქვთ და ასეთი
დაკრავს რუხვი ელფერი და ჩაის დამახასიათებელი სუნი
აქვს.

ჩინეთში ჩაის აკეთებენ ხელით, ინდოეთში კი, საცა
ჩაის პლანტაციები გაცილებით დიდი სივრცისაა და ამი-
ტომ ჩაის ფურცლის დამუშავებას მეტი ხელი სჭირია,
მანქანებით აკეთებენ. უმთავრესი განსხვავება ჩინურ და
ინდოეთურ ჩაის გაკეთებაში მდგომარეობს არა იმაში,
რომ ის კეთდება ხელით, თუ მანქანით, არამედ იმაში,
რომ ჩინელები ზემო აღწერილ ჩაის დამუშავებას აწარ-
მოებენ მზეზე, „ინდოეთში კი უმშეოთ ჩრდილში, დახუ-
რულ შენობებში.

ასე რომ ჩინური წესით ჩაის გახმობა ხოება მზეზე
და შემდეგ ბოლოვდება ცეცხლზე, ინდოეთური კი ცეც-
ხლზე, თუმცა ხანდიხან მზითაც სარგებლობენ.

ჩაის გადარჩევა (დახარისხება)— გამხმარი ჩაი აფუ-
რფუშებულია და შესდგება მთელი ყლორტისაგან, დაჭუ-
წნული და გაშავებული ფურცლებისაგან; ის უნდა მოი-
ფშვნას, დაიმტვრეს და გადაირჩეს მსხვილი ნაწილი წვრი-
ლებისაგან.

ჩაის მოფშვნა შეიძლება ხელით, ან სხვილი მავთუ-
ლის ცხრილზე გახეხვით. მოფშვნილი ჩაი იცრება საც-
რებში, ჯერ მსხვილში შემდეგ თანდათან წვრილებში
და ბოლოს სულ ძალიან წმინდა საცერებში მერდინში.

მსხვილ საცერებში დარჩენილი არის უკანასკნელი ხა-
რისხის ჩაი, იაფ-ფასიანი; ამნაირივე იაფ-ფასიანია, მაგ-
რამ უფრო მეტი ლირსების, მერდინში გატარებული ჩაი-
მტვერი.



მსხვილ საცერტი გატარებული და მერლინზე ჰქონილი ჩაი იცრება მერმეთ სხვადასხვა საცერტი. პირვერი მანერის ხარისხის ჩაი მიიღება მტვერის შემდეგ წვრილი ჩაი, მეორე ცოტა ამავე მსხვილი (ხოროში). მესამე კიდევ ამაზე ხოროში და ასე 5—6 ხარისხამდე შეიძლება დაიყოს ჩაი საცრების საშვალებით (ერთ ოთხეუთხ დიუმზე 12, 9, 6, და 4 ნაჩერეტიანი საცრები).

ჩაის გადასარჩევათ ხმარობენ აგრეთვე სანიავებელ მანქანას, მათში უფრო გავრცელებულია „სიროკიოს“ სისტემის. ამ სანიავებელს აქვს 5 სხვადასხვა ზომის ნაჩვრეტებიანი საცრები, არკვევს, არჩევს თავისით ავტომატიურად, ამასთან თითეული ხარისხის ჩაი იყრება ცალკე ყუთებში. მანქანა საათში არკვევს 800 გირ. ჯეკსონის სანიავებელი მანქანა ანიავებს, აშორებს მტვერს და სხვა შერეულ ნივთიერებას და ყოფს ჩაის ხარისხებად. უმეტეს შემთხვევაში მტვერის და სხვა შერეულ ნივთიერებას აშორებენ უფრო უბრალო სანიავებელით.

ძალიან წვრილი ჩაი ამიტომ არის კარგი ლირსების, რომ მასში ბევრი ჯერ გაუშლელი, კვირტებში მყოფი ფურცლებია, ამნაირ ჩაის მეტად ნაზი სასიამოვნო სუნი აქვს და კარგი გემოსიც არის; ძვირად მისთვის ფასობს, რომ კვირტებისაგან მზადდება და რასაკვირველია კვირტებისაგან ბევრის მოგროვება შეუძლებელია; ასეთ ჩაიში ხშირია ვერცხლის ფერი ნორჩი კვირტები და ამიტომ ამ ჩაის „ყვავილოვან“ ჩაის უწოდებენ.

ჩაის ნამდვილ ყვავილს ამ ჩაისთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს; ჩაის չვავილი ჩაისთვის სულ უვარგისია. გამხმარ ჩაის ყვავილი მწარე გემოსია და სუნიც ცუდი აქვს, ასე რომ ამ ყვავილის არევით შეიძლება ჩაი სულ გავაფუჭოთ.

ჩინეთში ჩაის კარგი სუნის მისაცემად სდებული ქველში, საცა ჩაი ინახება, კარგ სურნელოვან აყვავილებს შემდეგი მცენარეებისა; იასამანი *Jasminum sambac*, გარდენია *Gardenia florida*, *Olea fragrans*, კამელია *Camellia sasanqua* და *Osmanthus*.

ჩაის დაჭაშნიკება (დეგუსტაცია) დამზადებულ ჩაის შემდეგ აჭაშნიკებენ იმ ფირმებში, საცა დიდი წარმოებაა ჩაის აჭაშნიკებენ განსაკუთრებული დამტასებლები მოჭაშნიკები (ტიტესტერები), რომლებიც შინჯავენ ერთნაირ და დაყენებულ სხვადასხვა ჩაის. დაჭაშნიკების შემდეგ, თუ საჭირო იქნა ერთი ერთმანეთში ურევენ (კუპაჟი); მერმეთ ჩაის ახმობენ ნელ ცეცხლზე და ინახავენ ხის (უფისო ხეებისაგან) ყუთებში, რომელსაც ჩაფენილი აქვს ტყვიის ფურცელიანი სახვევი ქაღალდი, ინახვენ კიდევ თუნუქის ყუთებში, რომელსაც ქაღალდი აქვს ჩაფენილი; ამას ირად ჩაი ინახება 5—6 თვის განმავლობაში.

თუ ჩაი ინახება ხაროებში და საჭიროა მათ დაფუთვა და ქაღალდებში შეხვევა, წინდაწინ უნდა გაშრეს. მოსკოვში, საცა ჩაის წარმოებაა, ჩაის აწონა, შეხვევა პარკებათ და ბანდეროლის აკვრა მანქანებით სწარმოებს. კურპელი რაშიც ჩაი ინახება, პარის გავლენისაგან დაცული უნდა იქნეს და თვითონ ჩაი სრულებით ძროლი.

ჩაის ტიპები ჩაი არის ჩაის მცენარის ფურცლისაგან სხვადასხვა საშვალებით გადამუშავების ნაწარმოები. დამზადების საშვალების მიხედვით ცნობილია შემდეგი ჩაის ტიპების:

1—**შავი ანუ ბაიჩაოიანი ჩაი ***) (ჩინეთის, ინდოეთის, ცეილონის, იავის და სხვა) მზადდება ცოტათ თუ

*) ბაი-ბაო-თეთრი ბუსუსები,




ბევრად ნაზი და წყლიანი ფურცლებისაგან დაღროშობისათვე
მოთელვის, დაღუღების და გახმობის საშვალებით.

2 ჩაქაჯი ჩაი მზადდება ჩაის ანაცერისაგან: დიდ-
რვან და უხეშ ფურცლებისაგან, ღეროს ნაწილებიდან და
სხვა ნარევიდან; დაქაჯვის ჭინ ორთქლში გაატარებენ,
დებენ ლითონის ყალიბებში (დაურჯაკი) და შემდეგ ქა-
ჯვენ: ა) აგურის ზავი ჩაი მზადდება ჩაის ანაცერიდან
და მტვერიდან და იქაჯება აგურის მზგავსათ $2\frac{1}{2}$ გირ.
წონის; ბ) აგურის მწვანე ჩაი—ყუნწიანი და შტოებია-
ნი დიდრვანი ფურცლებისაგან აგურებათ 3—7 გირ. წო-
ნისა; გ) ნაპობი, ზოდი ჩაი—ტლანქი მასალისაგან შეშის
ნაპობების მაგვარი სიგძით $1\frac{1}{2}$ არშინი და განით 4—5
ვერ. და დ) ჩაის კვერები—უმაღლესი ხარისხის ჩაის ანა-
ცერისაგან კვერები $\frac{1}{4}$ გირ.

**3 - ყვავილოვანი და ყვითელი ჩაი მზადდება უმთა-
ვრესად ზევითა ბუსუსიანი კვირტებისაგან (ბაი-ხაო). ამ
ჩაის დუღილი სწარმოებს ფარულად, შეუმჩნეველად. ყვა-
ვილოვან ჩაის ახმობენ მზეზე და ცეცხლზე, ყვითელს—
კი ჩრდილში.**

4—მწვანე ჩაი (უმთავრესად არის იაპონიაში) მზად-
დება ამნაირად; ჩაის ფურცელს ნახევარი წუთით წალვენ
აღუღებულ წყალში, რომლის ტემპერატურაა $80—90$ ც.,
გამოიტანენ ნიავზე და შემდეგ მოთელავენ, ახმობენ
 $75—80$ ც. სითბოზე და უკანასკნელი ხმობა სწარმოებს
 $35-40$ ც.

ჩაის მნიშვნელობა, როგორც სასმელის, დამოკიდე-
ბულია მასში ალკოლოიდის—ტეინის შემაღენლობით,
საშვალოთ $3,58\%$, რომელიც ახდენს ზომიერ გამაოზია-
ნებელ ზეგავლენას ნერვებზე და გულზე. ამ მხრივ ჩაის მა-
გიერობა არ შეუძლია ქნას იმ ნივთიერებამ, რომელშიც
ტეინინი არ არის.



ჩაის მსოფლიო წარმოება

ჩაის მსოფლიო წარმოების სწორი ანგარიშის შეკრება ძნელია მით, რომ მისი დიდიალი რაოდენობა იხარჯება ჩაის რაიონის შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში თვითონ იქაური მცხოვრებლებისაგან.

მიწის სივრცით, რაზედაც ჩაის პლანტაციებია გაშენებული და აგრეთვე ჩაის ნაწარმოების რაოდენობით ეკუთვნის ჩინეთს. რასაც ქვემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ცნობები ეხება 1909 წელს.

	ჩაის პლანტაციების სივრცე,	დამზადებული ჩაის რაოდენობით	
ჩინეთი	1.000.000	20.000.000	
ინდოეთი	202.000	8.000.000	
ცეილონი	144.730	5.800.000	
იაპონია და ფორმაზა	91.000	1.800.000	
იავა	40.000	1.100.000	
ნატალი	2.200	120.000	
საფრანგ. ახალშენები	370	12.000	
საქართველო	900	9.000	
<hr/>		<hr/>	
ს უ ლ	1.581.400	36.841.000	

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს ჩაის მსოფლიო წარმოება ადის თითქმის 40 მილიონ ფუთამდე, რომლის ნახევარი მოდის ჩინეთზე, ამის შემდეგ დიდ მწარმოებლად გამოდის ინდოეთი და ცეილონი.

რაც შეეხება მსოფლიო ბაზრისთვის ჩაის მიწოდებას, ევროპის ომამდე ის გამოიხატებოდა შემდეგში:

გამოტანილია მილიონი ჩაი, გირვანტებულება
1903 წ. 1913 წ.

ინგლისის-ინდოეთი	229	329
ცეილონი	162	213
ჩინეთი	265	187
იავა	26	72
იაპონია	55	53

როგორც ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს ჩინურმა ჩაიმ მსოფლიო ბაზარზე დაკარგა პირველი ადგილი, რომელიც დაიკავა ინდიის და ცეილონის ჩაიმ; ჩაის გატანა იზრდება აგრეთვე კუნძულ იავაზეც.

ნაცვლად წვრილ-წვრილ ჩაის პლანტაციების და შინამრეწველურად ჩაის დამზადებისა, ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში და კუნძულ ცეილონზე განვითარებული ფაბრიკები დიდროვანი პლანტაციებით, რომლებიც მუშავდებიან დაქირავებული მუშებით.

რაც შეეხება მსოფლიო ჩაის მოხოვნილებას, 1913 წელს შემოვიდა მსოფლიო ბაზარზე 836 მილიონი გირ. ჩაი, აქედან ნახევარს ხარჯავს ინგლისი და ერთმეოთხედს რუსეთი. ამიერ კავკასიაში იხარჯება 80-90 ათასი ფუთი, აქედან საქართველო ხარჯავს 25 ათას ფუთამდე, ანუ ერთ მილიონ გირვანქას წელიწადში.

თითეულ სულზე წელიწადში ჩაის ხარჯავს: ინგლისი 6,7 გირ., პლანტაცია 1,8, ამერიკის შეერთებული შტატი 1,34, გერმანია 0,06, ჩინეთი 7,2, იაპონია 0.46, რუსეთი 1,19 და საქართველო 0,38 გირვანქას.

თავისი შემადგენლობით და თვისებით ჩეუნი ჩაი უფრო ახლოა ჩინურ ჩაისთან, ვინემ ინდოეთის და ცეილონის; ამ უკანასკნელთან შედარებით მათში ნაკლები სიმჭვდეროვა და ტეინია. ცნობილი ტიტესტრების (ჩაის

მეტაშნიერ) აზრით აქაური ჩაი ედარება ჩინეთის უმაღლესი გარემონტის ხარისხის ჩაის.

ტენი	ტენი ჭურა ლი მესტ	გაულენი გაულენი გაულენი	სიმძინე (ტ)	ნაცარი		ტენი (მანებელი)
				წ	გაულენი	
ჩინური ჩაი . . .	3,81	39,44	19,31	6,75	3,27	7,63
იაპონიის ჩაი . . .	2,87	33,62	17,61	5,60	1,79	7,53
ცეილონის ჩაი .	3,68	43,51	18,39	6,03	2,51	8,66
ჩაქვის ჩაი	3,29	33,00	8,43	3,00	1,30	7,14
საუფლისწულო უწყების	3,15	38,41	8,94	4,19	1,90	8,35
კ. ს. პოპოვის უწყებ.	3,37	44,71	11,95	5,92	2,11	6,34
ოზურგეთის უწყებ.	3,42	43,37	12,10	5,49	2,08	7,07

ერთი დესიატინა ჩაის ნარგავიდან ჩვენში მოდის საშუალოთ 600-800 გირ. გამხმარი ჩაი, ამასთან ერთ გირგანქა დამზადებულ, გამხმარ ჩაიზე მიდის $4\frac{1}{4}$, გირ. ნედლი ჩაის ფურცელი.

ჩაის კულტურა მუშა-ხელის სიძვირის და ჩაის ბაზარზე სიაფის გამო მსხვერი მწარმოებლებისთვის ნაკლებ შემოსავლიანია, თითქმის საზარალოა. გლეხის წვრილ მეურნეობისათვის, საცა ყველა ოჯახის წევრებს—ქალს და ბავშვებს, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში, განსაკუთრებით ჩაის ფურცელის კრეფის დოოს, ეს კულტურა ხელსაყრელია და ამ დარგის მთელი შემოსავალი მას რჩება.

ჩაის კულტურა მუშა-ხელის სიძვირის და ჩაის ბაზარზე სიაფის გამო მსხვერი მწარმოებლებისთვის ნაკლებ შემოსავლიანია, თითქმის საზარალოა. გლეხის წვრილ მეურნეობისათვის, საცა ყველა ოჯახის წევრებს—ქალს და ბავშვებს, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში, განსაკუთრებით ჩაის ფურცელის კრეფის დოოს, ეს კულტურა ხელსაყრელია და ამ დარგის მთელი შემოსავალი მას რჩება.



საზოგადოთ შშრომელი გლეხი თავის შრომას არ ამოვნა
სებს და ყოველივე სამუშაო ხარჯებს უფრო იკლად
იჯდენს, ამის მიხედვით ჩაის კულტურა შემოსავლიანია
და გლეხის მეურნეობისათვის სრულიად მისაღები, მხო-
ლოდ მარტო ნედლი მასალის—მწვანე ფურცლის საწარ-
მოვოთ.

რაც შეეხება ჩაის ფურცლის დამუშავებას ეს უსა-
თუოთ უნდა იქნეს ფაბრიკების საშუალებით, რომლებიც
იქნებიან მოწყობილი კოოპერატივის, ამხანაგობების ან
სახელმწიფოს მიერ. შინამრეწველობის წესით ჩაის დამ-
ზადებაზე ფიქრიც ზედმეტია, ერთი რომ ეს საქმე მეტად
საცოდვილოა და მეორე ასე პრიმიტიულად გაკეთებული
ჩაის ერთნაირი ლირსების ნაწარმოები, საქონელი, არ გა-
მოდის და ამიტომ ბაზარზე ძლიერ ნაკლები ფასი აქვს.
მიწის სივრცე, რომელზედაც შეიძლება დასავლეთ საქარ-
თველოში ჩაის გაშენება ზოგის გამოანგარიშებით უდრის
40 ათას დესიატინას, ზოგის კი 120 ათას დესიატინას აღე-
მატება, საშუალო ციფრი რომ მივიღოთ, იქნება 80 ათა-
სი დესიატინა. დესიატინაზე მოსავალი საშუალოდ 700
გირ. გამხმარი ჩაი რო ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ მო-
მავალში, როდესაც საქსებით გამოყენებული იქნება ეს
მიწები, საქართველოში ჩაის მოსავალი გვექნება 56 მი-
ლიონი გირვანქა წელიწადში. აღნიშნული რაოდენობა
მთელად თუ ვერა, ნახევარზე მეტად მაინც დააქმაყოფი-
ლებს საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა მოთხოვნილებას.
ამის მიხედვით ცხადია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც
ექნება ჩაის მეურნეობის განვითარებას საქართველოს-
თვის.

ჩაის წარმოება დასავლეთ საქართველოში ახალი
დარგია და მის განვითარების დროს საჭიროა ანგარიში



გაუწიოთ ჩაის მსოფლიო წარმოებას და საზოგადოებრივ საქმის ეკონომიურ მდგომარეობას, ესე იგი თუ რამდენად შესაძლოა ჩვენ ეკონომიურ პირობებში ჩაის საქმე ისე დავაყენოთ, რომ მისი წარმოება არ დაჯდეს ჩინეთის და ინდოეთის შემოტანილ ჩაიზე უფრო ძვირად.

მესამე წელიწადია (1925 წლის დამლევს), რაც ჩვენში დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, რომლის მიზანია ჩაის კულტურის, ამ დიად უაღრეს კულტურის მთელი საბჭოთა კავშირისათვის, გავრცელება საქართველოში, რომელიც ერთადერთი კუთხეა მთელ საბჭოთა კავშირში, საცა ამ კულტურისათვის ყველანაირი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია.

ამ საზოგადოების დაარსებიდან ჩაის კულტურა და სავლეთ საქართველოში მეტად ჩქარის ნაბიჯით მიღის: ჩაის პლანტაციების სივრცე თანდათან იზრდება, ჩაის ფურცლის დასამუშავებლად შენდება ახალი ფაბრიკები, უმჯობესდება ჩაის ფოთლის დამუშავების წესები, რის გამო უმჯობესდება ჩაის ხარისხიც.

სრული იმედია, რომ ჩაის საქმე საქართველოში მეტად განვითარდება: აქაური უამრავი „ეწრები“, რომელიც დღეს აქ უვარების მიწად არის ცნობილი, სავსებით გამოყენებული იქნება ამ კულტურისათვის, არც ერთი მტკაველი ამ მიწებისა არ დარჩება ცარიელი, მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდება, მთელი დასავლეთი საქართველო: გურია, აჭარა, სამეგროლო და აფხაზეთი გადაიქცევა მილიონ ჩაის პლანტაციებათ, ეს მხარე შეიქნება ერთ საუკეთესო სამრეწველო კუთხეთ და მთელ საბჭოთა კავშირში დაიჭირს საპატიო ადგილს.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ամ Փոշես Շեղցեբուտզով լարցեծով պահպանվող Շեմքեցի լուսահուրութ:

1. В. Симонсон. Практическое руководство к разведению чайного куста и выделки чая. Спб. 1901 года, Изд. Д-та Земледелия.
 2. С. Тимофеев—Культура чайного куста и производство чая в Западном Закавказье. Петр. 1916 года Изд. Д-та Земледелия.
 3. Г. Землер. Чай, разведение его в Китае, Индии и на Кавказе. Ботанические свойства, приготовление и всемирная торговля. Москва 1890 года.
 4. И. Клинген—среди патриархов Земледелия народов ближнего и дальнего Востока. Спб. 1898 год. Изд. Гл. Упр. Уделов.
 5. А. Краснов. Чайные округа субтропических областей Азии Спб. 1898 год. Изд. Гл. упр. Уделов.
 6. G. Guigon, Le the. Histoire, culture, préparation, pays producteurs, importations, statistiques générales, prix, classifications et mélanges. Paris. 1901.
 7. H. Mann. The tea soils of Assam and tea manuring. Gavcata.
 8. Edm, Money. The cultivation and manufacture of tea. Galcata.
-

ს ა რ ჩ ვ 3 0:

83.

შინასიტყვაობა	3
ბოტანიკური ოლწერილობა	7
ჩაის მცენარის ბუნებრივი პირობები	11
ისტორიული მიმოხილვა	14
ჩაის ბუჩქის გაშენება	20
პლანტაციის მოვლა	31
ჩაის ბუჩქის გასხვლა	40
ჩაის ბუჩქის მავნებლები	45
ჩაის ფურცლის დაკრეფა	48
ჩაის მსოფლიო წარმოება	66
ჩაის კულტურის მომავალი პერსპექტივები	68





ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային Գրադարան